

ეროვნული
ბიბლიოთეკა

619
1976

# დროშა

ივლისი
№ 7 1976 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე (მარცხნიდან): რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მდნობელი ომარ წითლიძე, მდნობელის თანაშემწეები ნიკოლოზ უსაჩოვი და ვილჰელმ ყურაშვილი, ცვლის უფროსი მერაბ მუმლაძე.

თარხან არჩვაძის ფოტო



# დაიბადა ახალი თაოსნობა

## სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში



ძველი მეტალურგი გ. ბერიკაშვილი (ცენტრში) ესაუბრება ახალგაზრდა მეტალურგებს.

თარხან არჩვაძის ფოტო

მეტალურგები ყოველთვის იდგნენ ჩვენი სამშობლოს სახელოვანი მუშათა კლასის ავანგარდში. მათმა თავდადებულმა შრომამ, გმირულმა შემართებამ, საქმისადმი შემოქმედებითმა მიდგომამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შავი და ფერადი მეტალურგიის არნახული ტემპით განვითარებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირმა უკვე კარგა ხანია მთელს მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა ფოლადის წარმოებით. 1974 წელს ჩვენი ქვეყნის მარტენის საამქროებში გამოადნეს 136 მილიონი ტონა ფოლადი, აქედან ქართველმა მეტალურგებმა 1 მილიონ 431 ათასი ტონა ფოლადი მისცეს სამშობლოს.

კიდევ უფრო მეტად გაიზარდა შავი და ფერადი მეტალურგიის წარმოება 1975 წელს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები ითვალისწინებს, რომ მეათე ხუთწლედის ბოლოს შავ მეტალურგიაში უზრუნველვყოთ 160-170 მილიონი ტონა ფოლადისა და 115-120 მილიონი ტონა ნაგლინის მიღება.

1,2 — 1,3-ჯერ გავზრდით ალუმინის, სპილენძის, ნიკელის წარმოებას; მნიშვნელოვნად გავადიდებთ ტიტანისა და სხვადასხვა იშვიათი ლითონების გამოდნობას.

ამ საერთო წარმატებაში ქართველმა მეტალურგებმაც უნდა შეიტანონ თავიანთი საპატიო წვლილი.

პირველი ქართული ფოლადი რუსთავში 1950 წლის 27 აპრილს გამოადნეს. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. თანდათან გაიზარდა მარტენის ღუმელების რაოდენობა, მნიშვნელოვნად ამაღლდა მათი წარმადობა, თავდადებულ შრომაში აღიზარდა და საიმედოდ გამოიწრთო ქართველ მეფოლადეთა მძლავრი კოლექტივი.

განსაკუთრებით დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას ქართველ მეტალურგთა წინაშე მეათე — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედში.

რესპუბლიკაში ახალ ხუთწლედში ფოლადის წარმოება 21 პროცენტით უნდა გაიზარდოს, თუჯისა — 55 პროცენტით, მნიშვნელოვანი ძვრებია დასახული ფერადი მეტალურგიის განვითარებაშიც.

რუსთაველ მეფოლადეთა ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევთან საუბარმა.

ლეონიდ ილიას-ძესთან გულთბილმა საუბარმა, მის მიერ გამოთქმულმა პრაქტიკულმა მოსაზრებებმა და სასარგებლო რჩევებმა ახალი შრომითი აღმავლობისათვის აღაფრთოვანა მთელი საწარმოს კოლექტივი. თავიანთ საქმიანობაში რუსთაველმა მეტალურგებმა ბევრჯერ გამოიყენეს და სამოქმედო პროგრამად აქციეს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისაგან მიღებული მითითებები, რჩევები, მოსაზრებები.

რუსთაველი მეფოლადეები უკვე მეოთხე წელია რაც ჩვენი სამშობლოს მოწინავე მეტალურგიულ საწარმოთა რიგებში დგანან. მათ უკვე ცხრაჯერ გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ცხრაჯერ დაისაკუთრეს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა.

ამას წინათ მარტენის საამქროში კიდევ ერთი ახალი, პატრიოტული თაოსნობა დაიბადა. მეფოლადეთა № 3 ბრიგადამ ვალდებულება აიღო, რომ ყოველმხრივ განამტკიცოს შრომის დისციპლინა, კიდევ უფრო გააუმჯობესოს ქარხნის საწარმოო, ხარისხობრივი და ეკონომიური მაჩვენებლები.

ბრიგადის დევიზია: „არც ერთი ჩამორჩენილი, შრომის დისციპლინის არც ერთი დამრღვევი ჩვენს გვერდით!“

მეფოლადეთა ამ თაოსნობამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა არა მარტო რუსთავის საწარმოს შრომით კოლექტივში, არამედ მთელს რესპუბლიკაში.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ დისციპლინის განმტკიცებისათვის გაშლილ ბრძოლას.

„შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა თითოეული ჩვენგანის შინაგან მოთხოვნილებად, ჩვენი ცხოვრების განუხრელ წესად გადავაქციოთ!“ — ასეთია მათი გადაწყვეტილება.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულება შრომის ზუსტი ორგანიზაციის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას მოითხოვს. სახელოვანი ქართველი მეტალურგები, ეჭვს გარეშეა, მეათე ხუთწლედს გადააქცევენ ეფექტიანობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდის ხუთწლედად, მტკიცე შრომითი დისციპლინის, ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა სრულიად აღმოფხვრისა და დასახული მიზნების განხორციელების ხუთწლედად!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 7 (475) ივლისი, 1976 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1976

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით სეფიაშვილი
კორექტორი ქეთევან წერეთელი

სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მღერალი მიელინებაში

# გუშილოციანი იყოს თქვენი გზა:



სილოვან ნარიმანიძე

ტიალო ბრძოლის ცისეთო,
შიშის გაქანებს ქარით, —
ჩაიცვი რკინის პერანგი,
ამოანათე ხმალით,
შიგ სხედან თუშის შვილები, —
თოფის პირს ასდის ალიო.

— მე სხვა ლექსი უფრო მომწონს, — ამბობს გოდერძი და ახლა მეორე ლექსს გვეუბნება.

ლოშო, შე ლომის მოკლულო,
ბუსნი ქალაის პირსაო,
ვინ შეგიღება წითლადა
მხარ-ბეჭი პერანგისაო,
ვინ გაგიმეტა სათოფედ,
პატრონი ბევრი ცხვრისაო,
ჯავრისგან დაგიღრეჯია
კბილები ბროლებისაო.

## გოდერძი

გოდერძი თუშია, ჩაღმა თუში. ასეხად იტყვიან. შავგრემანია, საშუალო ტანის, დიდრონი თაფლისფერი, კეთილი თვალებით გიყურებთ. თუ ვინმე რამეთი დაიკვეხნის, მასაც ბევრი რამ უნახავს, იცის მთისა და ბარისა. დაკვირვებული თვალით ბევრი რამ აღუბეჭდია მის გონებას, შეუნიშნავს, გულში ჩაუთქვია და დაუდევნებია. მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეები შრომასთან არის დაკავშირებული. ახლაც დღე-ღამეს ასწორებს, ისეთი კაცია, ძნელად გასტეხს თავის ნათქვამს.

ერთი საათის მისულები ვართ. გარშემო გუელით გრძელ, ცხვრის საპარსად გადაკეთებულ ფარეხს. გოდერძიც აქ არის, თადარიგს იჭერს, ცხვრის პარსვას ხელმძღვანელობს. ორმოცი ელექტროსაპარსი აგრეგატი ხმაურობს, ორმოცი მპარსავი შესდგომია ცხვრის პარსვას. მალე ცხვარი საზაფხულო იალაღებზე უნდა გაამგზავრონ და ემზადებიან. ბარში უკვე დათბა და ცხვარი ვეღარ ეგუება სქელი მატყლის სამოსელს.

გოდერძი საქმეს თავს დასტრიალებს, პარსვის ხარისხს ამოწმებს, თვალყურს ადევნებს, რომ ცხვარს ტყავი არ გაუჭრან, სხეული არ დაუზიანონ, ნაპარსი კარგად დაახარისხონ.

გოდერძიმ წუთით მოიცალა. შავი, გრძელი სამუშაო ხალათი აცვია. ხელები და ხალათი დასვრია, მძიმე ჩექმებით მობიჯებს. ნაჯაფარი სახე აქვს და ბოდიშს იხდის, რომ ჩვენთვის აქამდე ვერ მოიცალა.

— ახლა ისეთი დროა... რაღა ახლა გვეწვიეთ...

— ვიცით, არ შეგაწუხებთ, თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ.

განთქმულია თუში კაცის მასპინძლობა, მათ ლხინის დროს ლხინი იციან, შრომის დროს შრომა და ახლა ცრძალება, მოსალხენად სათანადო თადარიგს რომ ვერ იჭერს.

— მძიმე ზამთარი გქონდათ, — ჩავულაპარაკეთ გოდერძს.

— გახსენებაც არ მინდა! ორმოცდაოთხი წლის კაცი ვარ და ასეთი გაჭირვება არ მინახავს, წელს რომ დაგვატყდა... ღიჟივით დავრბოდი ფერმიდან ფერმაში, საკვებიც ძალიან გაგვიჭირდა. ღმერთმა უშველოს მედიკოს (აქ, და საერთოდ, საგარეჯოს რაიონში პარტიის რაიკომის პირველ მდივანს მედიკო მეზვრიშვილს ასე იხსენიებენ). ის რომ არა, ძალიან გაგვიჭირდებოდა, ფარის ნახევარსაც ვერ ვიხსნიდით. მთელი რაიონი დარაზმა, ჩვენთან ბიუროს წევრები მოამაგრა, რაიონის თითოეულ ორგანიზაციას კონკრეტული დავალება მისცა. უნდა გენახათ, მეტრ-ნახევრიან თოვლში როგორ იკვლევდნენ გზას უდაბნოსკენ მძიმე ტრაქტორები. ცალკე პირუტყვის, ცალკე მომვლელების მომარაგება საკვებით, იმ დროს პატარა საქმე როდი იყო. და აი, როგორც ხედავთ, ზამთარს გადავურჩით, საუკეთესო ნამატი გვყავს.

— მომავალში?

— მომავალში ასეთი გასაჭირი აღარ გვექნება. რაც მთავარია, ჩვენთან ახლა უკვე ცალკეა უდაბნოს მეურნეობა, ადრე კი ჯანდარის მეცხოველეობის მეურნეობასთან როგორც განყოფილება ისეთი უცლებებით ვიყავით. მართალია, მეცხოველეობა იყო ჩვენთან წამყვანი დარგი, მაგრამ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის მოვლა-პატრონობის ინტერესები ერთმანეთს ემიჯნება. და აი, ჩვენი ამბით დაინტერესდა რესპუბლიკის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდა ხელმძღვანელობა. აწონ-დაწონეს და ყველაზე სწორი დასკვნა გამოიტანეს. თითქმის ერთი წელია, რაც ცალკე ჩამოვყალიბდით და შვებით ამოვისუნთქეთ. გახედეთ, — გოდერძი ხელს იშვერს წინ, სადაც საამოდ ბიბინებს ჯეჯილი, — ეს ჩვენი შვრიის ყანებია, იქით კი, — ახლა მარჯვნივ იშვერს ხელს, — სასილოსე სიმინდი დავთესეთ. თუ ამინდმა ხელი შეგვიწყო, გიყვარდეს, აქ სიმინდი მოვა, თუ არადა სასილოსედ მაინც ხომ გვექნება და გვექნება!

— პარსვას მალე მორჩებით?

— თვის ბოლოსათვის მთლიანად უნდა დავამთავროთ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ოთხმოცდახამი ათასი სული ცხვრის გაპარსვა?! ამ დიდ საქმეში ჩვენ რეკორდსმენებიც გვყავს. აი, მაგალითად, ცხვრის მექანიკური პარსვის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ნარიმან ისმაილოვი. მან ალმა-ათაში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და მეორე ადგილი აიღო. აი, უყურეთ, როგორ მუშაობს...

ჩვენს წინ შუახნის, შავგრემანი მეცხვარე ნარიმან ისმაილოვია, რომელსაც უზარმაზარი ყოჩი წამოუქცევია და ელექტროდუქარდს ხან აატარებს და ხან ჩაატარებს მის ტყავზე. ეს ისე სწრაფად ხდება, რომ რამდენიმე წუთში გაპარსული ყოჩი უკვე შვებით სუნთქავს, ნაპარსი კი ქვეყნის დოვლათს ემატება. მატყლს უზარმაზარ ტომრებში ახარისხებს და აწყობს ამ მეურნეობის ზოოტექნიკოსი პავლე ჩოქური. ის არის ამ დიდი საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ყურისმგდებელი.

— ვინ გასარდლავს პირველი ფარას?

— ვეკითხებით გოდერძის.

— ჩვენთან სამი განყოფილებაა. თუ ეს პატივი ჩემი ფერმის ბიჭებს ერგოთ, ძალიან მოხარული ვიქნები. ვნახოთ. ივნისისთვის აქ აღარც ერთი ფარა აღარ იქნება და მოიწყენს უდაბნო. მარტო მთიბავები და მემინდვრეობის საკვების დამზადების ბრიგადის წევრები დარჩებიან, რომ ზამთრისათვის სასენაჟე ორმოები დაგვივსონ და დიდი რაოდენობით მოგვიმარაგონ გრანულიროვანი საკვები.

გოდერძი ბოდიშს იხდის, გვტოვებს და ისევ ფარეხში შედის. იქ ერთი ბრიგადის ცხვრის პარსვა მთავრდება და მორიგი ნოტო შემოჰყავთ გასაპარსად.

დიდიხანია ვიცნობ გოდერძი სეხნიაიძეს, ვიცი ვისი გორისაც არის. თუშეთს მეცხვარეობის გარეშე ვერ წარმოიდგენ, ხოლო თუშს უფარებოდ. ოცი წელია ზოოტექნიკურ ფაკულტეტდამთავრებული გოდერძი ამ საქმეს მოჰყვება, — ფარებს სარდლობს. დღემდე სირცხვილი არ უჭამია, მოვალეობას ყოველთვის პირნათლად იხდის. ბევრი ხიფათიც შეხვედრია, ბევრი მზიანი დღეც უნახავს. არც ერთი უკვირს და არც მეორე, იცის, მეცხვარის შრომა და ცხოვრება ხიფათით სავსეა.

— როგორ არის ის ლექსი? — ვეკითხებით ფარეხიდან გამობრუნებულ გოდერძის.

საუბარში მთიელი ვაჟკაცი პავლე ჩოქური ერევა.

— მე კი ეს ლექსი უფრო მიყვარს:

უნდა გაზარდოს დედამა
ვაჟი მტრის გამჯავრებელი,
აუგის მთქმელი არ იყოს,
არც ფეხის დამწყნარებელი,
არც აშინებდეს სიკვდილი,
სიცოცხლის გამმწარებელი.

ხანდახან, როცა მოიცლიან ხოლმე ჩვენი ბიჭები, უდაბნოს იალაღზე ჩონგურზე დაამღერებენ ამ ლექსებს და ჯანგირის, ყარადუზის, აჯიას, ჩამძვრალის, ჩათმას, უდაბნოსა და მონასტრის არემარეზე მხოლოდ მათი ხმა ისმის...

## ვახტანგ ხარაშვილი

უძინარი, დაღლილი თვალებით გვიყურებს. უწინაც ხშირად შევხვედრივარ, მაგრამ ასე დაღლილი არასოდეს მინახავს. გუშინ მთელი დღე გარეჯის უდაბნოში „კოლხოზნიკით“ უვლია ფერმიდან ფერმაში.

— ის იყო, საღამოს ათ საათზე ცენტრში ვბრუნდებოდი (ცენტრად უდაბნოს პატარა დასახლებას გულისხმობს), — გვიყვება იგი, — რომ მითხრეს, ერთ ფერმას მგლის ხროვა დასცემია და ორმოცი სული ბატკანისათვის ყელი გამოუჭრიათო. მაშინვე იქით გავემართე, საქმეს შევყევი, იმდენიც ვერაფერი ვუშველე და ძალიანაც დავიღალე. ღამის ორი საათი იყო, შინ რომ მივბრუნდი, უთენია კი ისევ ფეხზე ვიდექი, და როგორც ხედავთ, დავღლილვარ.

— სულ ასე ხართ?

— ჩვენი ცხოვრების დღეები თუმცა ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ახლა მაინც სულ სხვაა, ახლა დაძაბული პერიოდია, მთელი ყურადღების გამახვილებაა საჭირო. საზაფხულო იალაღებზე გასამგზავრებლად ვემზადებით, რამდენ რამეზე უნდა ვიზრუნოთ, ვინ მოთვლის.

დგას და მაინცა თვლის:

— ეს პარსვა და სპეცტანსაცმელით მწყემსებისათვის.

— ეს მეცხვარეების მომარაგება საკვებითა და ინვენტარითაო.

— ტრანსპორტიც მზად უნდა გვქონდეს.

— ეს გასაპარსი ცხვრის რამდენიმეჯერ გაბანვა სპეციალურ ხსნარში.

— ესეც წველისათვის მზადება.

— მეცხვარეობა ისეთი დარგია, იმდენი წვრილმანი საქმე გამოჩნდება, რომ ჩაწოთვლა ძნელია.

ჩვენი მოსაუბრე უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ზოოტექნიკოსი ვახტანგ ხარაშვილია, გულითადი და უხმაურო ადამიანი. იგი მოულოდნელად წამოგვადგა თავზე, გაგვესაუბრა და საპარს აგრეგატებს ჩამოუარა, შეათვალიერა როგორ იპარსება პირუტყვი. მერე ისევ ჩვენთან მობრუნდა და შორს გაგვახედა.

— გუშინწინ სტუმრები გვყავდნენ, ბევრი შენიშვნები მოგვცეს და სასიხარულო ამბავიც გვაუწყეს.

ჩვენ ვხვდებით, ვიზე საუბრობს დირექტორი. ეს ამბავი სხვებმაც გვითხრეს. ისიც შევიტყვეთ, რომ უახლოეს ხანში დაიწყება გარეჯის უდბნოში დიდი სარწყავი არხის გაყვანა. ეს არხი 1980 წლისთვის უნდა დამთავრდეს. 51 ათასი ჰექტარი ფართობიდან, რომელიც ამ მეურნეობას ამჟამად უკავია, 5 ათასი ჰექტარი გასარწყავდება. მაშინ აქ პირუტყვისათვის გარანტირებულ მოსავალს მოიყვანენ, ცისათვის აღარ ექნებათ სახვეწი წვიმა და ეს მეურნეობა მეცხვარეობის ერთ-ერთი გიგანტი გახდება ჩვენს რესპუბლიკაში. ცხვრის სულადობა 140 ათასამდე გაიზრდება, ხუთწლედის ბოლოს მეურნეობა აწარმოებს 300 ტონა მატყლს, 500 ტონა ხორცს. გაუმჯობესდება ხორცისა და მატყლის ხარისხი, მოიმატებს ნამატის შენარჩუნების პროცენტი. ამჟამად კი ბევრი რამე უჭირთ და აკლიათ მწყემსებს.

უდაბნოს დასახლებაში საჭირო იქნება 500 მწყემსისათვის აშენდეს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინები, კაპიტალურად შეკეთდეს და აიგოს ცხვრისათვის 40-მდე ფარეხი, აშენდეს კლუბი, სამკითხველო დარბაზი, სასადილო, სავაჭრო ფარდული, ფოსტა-ტელეგრაფი... მარტო წელს აქ უნდა აშენდეს 12 სასენაჟე ორმო, რომლებშიც 3 ათასი ტონა უხეში საკვები ჩაიდება. უნდა გაკეთდეს გზები, ყურადღება დაეთმობა გამწვანების სამუშაოებს.

— კარგი მწყემსები ბევრი გყავთ?

— კარგი მწყემსების მეტი ვინ გვყავს, — გვეუბნება ვახტანგი, — რევაზ ღლიღვაშვილი,. აკაკი ცხვირაშვილი, ამზა აბდულ ოღლი, გიგა ჭიაბერაშვილი, ალი ვალი ოღლი, აჯი ემინ ოღლი, მაზად მიქაილოვი, კიდევ რომელი ერთი მოვთვალო?

დირექტორი წამით ჩერდება და მაშინვე დასძენს:

— ერთი სასიხარულო ამბავიც უნდა გითხრათ, — გარეჯის უდაბნოში მალე გვექნება სახალხო უნივერსიტეტი, ამისათვის ყველაფერი იღონეს ჩვენი რაიონის ხელმძღვანელებმა.

რამდენიმე დღის შემდეგ დავით გარეჯის მონასტერში მართლაც გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი, რომლის საპატიო რექტორად აირჩიეს ამ რაიონის მკვიდრი აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი, ხოლო რექტორად ცნობილი პოეტი და აგრეთვე საგარეჯოს მკვიდრი თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

უდაბნო თავის ახალ სიტყვას ამბობს. ისევ იმღერებს მხურვალედ ქართველი კაცი მის გაშლილ ველებზე, ისევ აჩქეფდება არაგვისა და მტკვრის წყალი მის მოწყურებულ ზეგნებზე, ისევ იტყვიან მამულის სადიდებელს გარეჯის ჭირნახული ქვაბებიდან ჩვენი სახელოვანი ადამიანები, აყვავდება ცხოვრება, როგორც ჩვენს ეპოქას, ჩვენს ცხოვრებას შეეფერება.

უდაბნოს მომავალი თვალს უსწორებს მეათე ხუთწლედის გიგანტურ წინსვლას.

## ორკაცა

ორკაცა გამოცვლილი სახელია, ისე დირექტორის სეხნიაა — ვახტანგი ჰქვია. ბრიგადის სარქალია, გვარად უთურაშვილი. ამბობენ, ძველთაძველად თუშები ყოფილან მისი წინაპრები: უთურგა, უთურაული, უთურგაული და სხვა მსგავსი გვარისანი. უთურაშვილის ახლო წინაპრები მევენახეები იყვნენ. ჩემს ბავშვობაში შილდაში ხშირად შევხვედრივარ მის მამას სანდროს. მაღალ-მაღალი, მხარბეჭიანი, ნამდვილი მშრომელი ადამიანი იყო, წინაპართაგან გამოყოლილი სიდარბაისლე ეშხად სდევდა მუდამ თან.

ვახტანგი შილდელია. დაწყებით კლასებში ერთად ვსწავლობდით. ჩვენი პირველი მასწავლებელი დარიკო ქურციკიძე იყო, მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, მკაცრი და მომთხოვნი ქალი. თვითონ უძეოდ გადაეგო და მთელი თავისი სიყვარული და სიმკაცრე ჩვენზე გადმოჰქონდა. ორკაცას სახელი ვახტანგს სკოლიდან გამოჰყვა. ყველაზე ზორბა იყო, ყველაზე მაღალი, უშიშარი, ერთი კაცი ძვრას ვერ უზამდა. და ამიტომაც სოფელმა ორკაცა შეარქვა. ახლაც, შილდა-ყვარლის შემოგარენში ბევრი იცნობს და პატივს სცემს ვახტანგს — ორკაცას.

ძალიან გამიკვირდა შილდელ მევენახე კაცს უდაბნოს ველებში რომ შევხვდი.

რამდენიმე თანამგზავრთან ერთად უდაბნოს ცენტრიდან მეცხვარეთა ბინებისაკენ მივდიოდით. შორს, ცერის თავზე მაღალი კაცი შევნიშნე. ქარი უფრიალებდა ხალათის კალთას. იდგა და გველოდა.

რომან ყიფიანი, მეურნეობის მთავარი ვეტექიმი, რომელიც „კოლხოზნიკს" მართავს, მეკითხება:

— იცით ვინ არის?

— შორია და კარგად არა ჩანს.

— ორკაცაა. ჩვენ გველოდება.

— საიდან გაიგო, რომ მოვდიოდით?

— წეღან, თქვენ რომ საპარსში იყავით, მაგისი მწყემსი ჩამოვიდა, რაღაც ამბის გასაგებად გამოეგზავნა ვახტანგს, იმას დავაბარე, მოვდივართ და არსად არ დაგვეკარგო-მეთქი.

— იცის, რომ მეც ვიქნები?

— იცის. ვუთხარი ესა და ეს კაციც იქნება და არსად წახვიდე-მეთქი.

— დიდი ხანია არ მინახავს.

— ხშირად გახსენებთ ხოლმე. თვითონაც ძალიან გაიხარებს.

ის იდგა გორის წვერზე და გაბადრული სახით გველოდა. ტანსაცმელი გამოეცვალა, სადღეობოდ მორთულიყო, შავი მაუდის გალიფე შარვალსა და შინ შეკერილ ჩუსტებში გამოწყობილს თავზე ნაბდის კახური ქუდი ეხურა. გამხდარი მეჩვენა, ისე კი მხნედ იყო.

გადავეხვიეთ ერთმანეთს, მოვიკითხეთ.

— გავიგე, მოდიოდით. ერთი საათია აქ გელით, გულმა აღარ მომისვენა, ადგილს ველარ ვპოულობდი, ძნელია, როცა ელოდები.

მერე ერთმანეთი დაწვრილებით მოვიკითხეთ. ოჯახი, ცოლ-შვილი, ახლობლები, ნაცნობები, ჭაბუკური ამბებიც გავიხსენეთ.

— ვენახი ამოგიგდია და ძალიან მეწყინა.

— აბა რა ვუყო, მე აქა ვარ და როგორ გავწვდე? სამაგიეროდ ჩემს ძმას შოთასა აქვს კარგი ვენახი და ორივესათვის საკმარის ღვინოს აყენებს.

მერე განაგრძობს:

— ერთხანს შილდის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში ვიყავი, მერე ხმა დააგდეს, აქეთ დიდი ფრონტია და ხალხი გვჭირდებაო. გულმა აქეთ გამოიწია და უკვე მეორე წელია აქა ვარ.

საუბარში რომანი ჩაგვერია:

— ამან რომ წელს საქმე ქნა, ჯერ ამისთანა რამეს არ მოვსწრებივარ. მთელი ფარა გადაგვირჩინა. მის ბრიგადაში ათასამდე პირუტყვია. არავის ეგონა თუ მოამაგრებდა, შარშან ისეთი ჯანდაგი ცხვარი ჩაიბარა. ამჟამად ამისთანა ცხვარი და ბატკანი არც ერთ ფერმაში არა გვყავს. ვახტანგს ცხვრის მოვლა-პატრონობის თავისი მეთოდი აქვს. სეხნიაიძეც კი გააოცა ამ საქმის ცოდნით.

— ჩვენი ფერმის გამგე რატომ აღარ წამოიყვანეთ? — ჩაგვერია ორკაცა საუბარში, — გოდერძიმ რაო, რატომ არ წამოვალო?

— არ ეცალა, პარსვა აქვს. თუ მოახერხა ამ საღამოს ისიც მოგაკითხავს.

— ჰოდა, წელს მართლაც ძალიან გაგვიჭირდა, — განაგრძობს ვახტანგი, — რაც გადასატანი იყო, გადავიტანეთ, პირუტყვმა კარგად გამოიზამთრა. მთელი ჩემი ცხოვრება ცხვარში ვარ და სირცხვილიც არის, რამე შემეშალოს. ერთი რამ არ მომწონდა აქაური მწყემსებისა: მთელი ზამთარი ღამეობით დაუკეტავდნენ ხოლმე ცხვარს ფარეხის კარ-ფანჯრებს და პირუტყვი იხუთებოდა უჰაერობით. ზამთარში პირველად რომ მთელი ღამე ცხვარს ფარეხის კარ-ფანჯრები დავუღე, დაგეხოცებაო, მითხრეს. თქვენც არ მომიკვდეთ, ჯანსაღ ჰაერზე უფრო გალაღდა საქონელი...

— ცხვარი უკვე გაგიპარსავს, — ვეუბნები ვახტანგს.

— ორი დღე მოვუნდით პირუტყვის საპარს ფარეხამდე გადარეკვას; ფარის ოცდაათი კილომეტრის გავლას ეხუმრებით? ძალიან ვიწვალეთ, კარგი იყო, ტრანსპორტი გვყოლოდა და ასე აღარ გავწვალდებოდით.

— სწორი ხარ, — უდასტურებს მთავარი ვეტექიმი.

— აქაც კიდევ მეტი ყურადღება გვჭირდება. ძალიან განვიცდით ბოსტნეულისა და ხილის ნაკლებობას. არც წიგნი და გაზეთი გვაქვს, კიდევ სხვაც ბევრი რამე გვაკლია. ამ საკითხებს რომ მოგვიგვარებდეს პატივცემული ვახტანგი, კარგი იქნებოდა.

ნელ-ნელა საღამო შემოიპარა. ჩამუქდა შემოგარენი. ბღავილით მოაკითხეს ფარებმა ბინებს და მწყემსებსაც უფრო მეტი საქმე გაუჩნდათ.



მარცხნიდან: უდაბნოს მეურნეობის მეორე ფერმის გამგე გ. სეხნიაიძე, მთავარი ვეტექიმი რ. ყიფიანი, მეურნეობის დირექტორი ვ. ხარაშვილი და ზოოტექნიკოსი პ. ჩოქური ამოწმებენ მატყლის ხარისხს.

ნელ-ნელა ეუფლება მიდამოს ღამე. ჩვენ ვისხედით გაზაფხულის ვარსკვლავიანი ღამით თეოზე და ვსაუბრობდით. კარგია, როცა ადამიანი გიყვარს, როცა გჯერა და გწამს მისი, როცა გულით არ გეთმობა მასთან განშორება.

საუბარს ერთხანს კიდევ შევყევით:

— მწყემსებად კარგი ბიჭები გვყავს. ავიღოთ თუნდაც ფაშა სულეიმანოვი. საუკეთესო მწყემსია, ერთგული კაცია, ცოლ-შვილით ცხოვრობს ჩვენთან. ვართ ერთ ჭერქვეშ, ერთმანეთის ავი და კარგი გვესმის, მთა და ბარში ერთად ვართ და ერთმანეთი თუ არ გავიტანეთ, რა გამოვა. წამოდით, გაჩვენებთ, — და წინ ვახტანგი მიგვიძღვება.

— აი, ისინიც, — ვახტანგი შევიდა ერთ-ერთ ოთახში, რომელშიც იატაკზე გაეფინათ ლოგინი. ამ ლოგინზე ერთმანეთის მიყოლებით ხუთ ბავშვს თავი მშვიდად მიედოთ ბალიშებზე და ეძინათ.

— ეს ჩვენი მწყემსის ფაშას შვილები არიან; ხალილი, ჯემალი, ისა, ფატმა და ხათუნა. ფაშას ცოლი ნარგიზა ახლა ლავაშებს გვიცხობს, ცოტა ხანს თუ კიდევ დაიცდით, ცხვრის დელამოს გაჭმევთ, ლავაშებსაც დაგაგემოვნებთ.

— საღოლ, ვახტანგ, საღოლ! ვახტანგი ჩვენი ყარდაშია, იავაშ ყარდაშ, ღმერთმანი, კარგი ქაცია, ჩვენ ყოველი ერთმანეთში კარგა ვართ. — დამტვრეული ქართულით გვეუბნება ფაშა სულეიმანოვი.

გამიხარდა მათი ძმური ცხოვრების ამბავი რომ შევიტყვე. ჩვენმა წინაპრებმა ამ მეგობრობას შეალიეს ბევრი ძალა და ფიქრი. ერთმანეთის მტრობამ ხომ ამოაგდო მრავალი ერი. დრო მოვიდა და ჩვენს ქვეყანაში გზა გაეხსნა ხალხთა შორის ძმობასა და მეგობრობას. ერთი პატარა მაგალითი ამ ძმობისა ვახტანგისა და ფაშა სულეიმანოვის მეგობრობაც არის...

შორს, გორის თავში, მანქანის ელექტროფარის სინათლემ ააფერადა გარემო. ეს გოდერძი მოარღვევდა ღამის სიბნელეს, ჩვენთან მოდიოდა.

— მორჩით საქმეს? — შევეკითხე მოახლოებულ გოდერძის.

— პარსვას მოვრჩით, მაგრამ მთავარი საქმე ახლა გვეწყება. ამ დღეებში გავუყენებთ ცხვარს საზაფხულო იალაღებისაკენ. თუმცა ახლა მეურნეობაში ერთი საწუხარი კიდევ გაგვიჩნდა.

— რა საწუხარი?..

— დღეს მივიღეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან განაწილების ქაღალდი; ჩვენმა მეურნეობამ ოთხ რაიონში უნდა გაფანტოს ფარები: ეს ბოგდანოვკაო, ასპინძაო, ახალქალაქიო, ბორჯომიო. თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ გაგვიჭირდება. სხვა რომ არა იყოს რა, მომარაგების საკითხი გაგვირთულებს საქმეს. ხომ კარგი იქნებოდა, ერთ რომელიმე რაიონში მოეცათ ჩვენთვის საძოვრები, ფერმები ერთმანეთთანაც კონტაქტში ვიქნებოდით და სამედიცინო პერსონალსაც არ გაუჭირდებოდა ჩვენი მომსახურება.

ამ სიტყვებმა ყველანი დაგვაფიქრა.

მეცხვარეობის დარგის ყველა მუშაკის სურვილსაც უნდა გაეწიოს ხოლმე ანგარიში, როცა ამის შესაძლებლობა არის.

მალე ფარები და მწყემსები შორეულ გზებს გაუდგებიან. სანახაობით მდიდარსა და თავგადასავლებით აღსავსე ძნელსა და ხიფათიან გზებს. მათ თან წაჰყვებათ ფიქრი ოჯახზე, მეგობრებზე, ახლობლებზე. წაჰყვებათ იმედი ხვალინდელი დღისა და ფარების მრავლობისა.

მშვიდობიანი იყოს თქვენი გზა, ფარების მეგზურნო, მესხეთ-ჯავახეთის ღალიანი იალაღებისაკენ!



# ჩვენი

**სულ უფრო წინ ვიაროთ ქალაქისა და სოფლის ცხოვრების მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების დაახლოების გზით, რაც ჩვენი საპროგრამო მოთხოვნაა.**

**ლ. ი. ბრეჟნევი**

გვესაუბრება თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნიკოლოზ იანვარაშვილი

— სოფელ ნაფარეულის შესასვლელში გაკრულია ბრინჯაოს ფირნიში, რომელზეც მხატვარს ლამაზად ამოუკვეთია სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“

ვინც ნაფარეულს ესტუმრება, დარწმუნდება, რომ აქ სანახავიც ბევრია და საამაყოც.

სოფლის მიდამოებში განლაგებულია მევენახეობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობა, ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანა, ღვინის ქარხანა. ისინი მოწინავე სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები არიან, ყოველწლიურად სამშობლოს რამდენიმე მილიონი მანეთის ძვირფას პროდუქციას აძლევენ.

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი. აქაური სამარკო ღვინოები, მათ შორის „ნაფარეული“, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც არის განთქმული. საერთაშორისო გამოფენებსა და დეგუსტაციებზე „ნაფარეულს“ მიღებული აქვს ხუთი ოქროსა და ვერცხლის მედალი და მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. აქაური სურნელოვანი ეთეროვანი ზეთები იგზავნება მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ქვეყნის სხვა საპარფიუმერიო ქარხნებში და მისგან უძვირფასესი სუნამო მზადდება.

ნაფარეულელი მშრომელები ამაყობენ მათი ნახელავი პროდუქციის საქვეყნო აღიარებით. ისინი ილვწიან მეტი რაოდენობით აწარმოონ ეს პროდუქცია, კვლავაც სახელი და ღირსება შემატონ მშობლიურ სოფელს.

ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ მშრომელთა რჩეულები — სასოფლო საბჭოს დეპუტატები.

შტაბში — სასოფლო საბჭოს აღმასკომში მუდამ ხალხმრავლობაა. მშრომელთა ერთი ჯგუფი მოდის, რომ დეპუტატებს ესაუბროს სოფლის სასიკეთო საკითხებზე — ზოგან გზა შეკეთებას მოითხოვს, ზოგან ელექტრობოძები დაზიანდა, უნდა შერემონტდეს ბიბლიოთეკა, კულტურის სასახლეს სჭირდება ახალი მუსიკალური ინსტრუმენტები მხატვრული თვითმოქმედი წრეების სამეცადინოდ; გაუმჯობესებას მოითხოვს სავაჭრო ცენტრის მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით, სასადილოები — პროდუქტებით, სკოლის გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი სასკოლო ასაკის ბავშვი... ზოგი იმისთვის მოდის აქ, რომ ახლად შობილი გაატაროს რეგისტრაციაში, აიღოს დაბადების მოწმობა, ზოგჯერ გადასაწყვეტია მეზობლური დავა და ა. შ.

ერთი სიტყვით, ფართოა საკითხების წრე, რომლებიც სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელებმა, დეპუტატებმა და აქტივისტებმა უნდა გადაწყვიტონ. ამომრჩეველთა განაწესი, დეპუტატის სტატუსი არ იძლევა მოსვენების საშუალებას. ხალხის კეთილშობილი სამსახური დიდი ღირსებაა, სწორედ ეს აძლევს ხალხის რჩეულთ დაუშრეტელ ძალასა და ენერგიას.

სასოფლო საბჭოში პირველი ეგებება მშრომელებს ახალგაზრდა, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე, სანდომიანი სახის ქალიშვილი ლეილა ფოთოლაშვილი. იგი ნაფარეულის მკვიდრია, აქ დაიბადა და გაიზარდა, ამიტომ ყველა თანასოფლელს თავისიანად თვლის. ცხადია, თანასოფლელებიც კარგად იცნობენ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ორიოდე წელია ამ პოსტზე მუშაობს და საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

მუდამ მოუსვენარი, ვერცხლისწყალივით მოძრავი ლეილა ხშირად შეიძლება ნახოთ პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში, ქარხნის საამქროებში, სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ ლაფანყურში და სხვაგან.

როცა სოფელში რაიმე მშენებლობას ეყრება საფუძველი, თავმჯდომარე პირველი იღებს ნიჩაბს, პირველი ასხამს დუღაბს, ადებს აგურს; ახლად შეუღლებული ბედნიერი წყვილი პირველმა მან უნდა დალოცოს, საბჭოთა არმიის რიგებში მიმავალთ კულტურის სახლში უწყობს გაცილებას, ხოლო შინდაბრუნებულებს — საზეიმო შეხვედრას; მუშად კურთხევა, მოქალაქედ გახდომა და პასპორტის მიღება, ახალმოსახლეობაც პირველად სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ უნდა მიულოცოს ყველას. მისი მოღიმარი სახე და კეთილი გული ყველას სიხარულს იზიარებს.

მოწინავე კოლმეურნეებთან და მუშათა კლასის წარმომადგენლებთან ერთად ნაფარეულში სახახელო ინტელიგენციაც მოღვაწეობს. სოფელში სამასამდე პედაგოგი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, ინჟინერი და მედიცინის მუშაკია.

სასოფლო საბჭომ შეძლო მათი ჩაბმა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში. მაგალითად, სასოფლო საბჭოს სესიამ, რომელზეც სოფლის ინტელიგენციაც მოიწვიეს, განიხილა ნაფარეულის სოციალ-ეკონომიური განვითარების ხუთწლიანი გეგმა. იგი ითვალისწინებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვან გადიდებას, ნაფარეულისა და ლაფანყურის შემდგომ კეთილმოწყობას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის მკვეთრ ამაღლებას. უკეთ იშრომონ და დაისვენონ სოფლის მშრომელებმა! — აი, ამ გეგმის გენერალური მიმართულება, რომლის განხორციელებას დეპუტატები უკვე შეუდგნენ.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის ერთ-ერთ სხდომაზე გაიმართა საქმიანი საუბარი იმის შესახებ, რომ სოფელში არსებული მეურნეობები და სამრეწველო საწარმოები სათანადოდ ვერ იყენებენ კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილ თანხებს. თანხები ხშირად აუთვისებელი რჩება. ასეთმა აუთვისებელმა თანხებმა 800 ათას მანეთს გადააჭარბა. ეს მკვდარი კაპიტალია, თანაც მაშინ, როცა სასოფლო საბჭო თანხების უქონლობის გამო მსხვილ ობიექტებს ვერ აშენებდა.

— მოდით, გავაერთიანოთ მატერიალური შესაძლებლობანი. კანონმა მოგვანიჭა ამის უფლება. სოფელს დიდ სასიკეთო საქმეს გავუკეთებთ! — ასეთი წინადადებით მიმართა მეურნეობისა და საწარმოების ხელმძღვანელებს თავმჯდომარემ.

ამ წინადადებას დეპუტატებმა ნინო ახალკაციშვილმა, ვლადიმერ წვეროშვილმა, ვლადიმერ გაუარაშვილმა იმთავითვე დაუჭირეს მხარი, მეურნეობების და საწარმოების დირექტორებმაც დაუმოწმეს მათ, რომ ეს კარგი თაოსნობაა და ამით საშვილიშვილო საქმე გაკეთდება.

გამოიანგარიშეს, ვის რამდენით თანხის გამოყოფა შეეძლო კოოპერირებული მშენებლობისათვის.

მარტო მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხვალინდელი დღე

# დეპუტატი ხალხის მსახურია

წვლილი ჯერჯერობით 420 ათას მანეთს შეადგენს, ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხნისა — 200 ათას მანეთს, ნაფარეულის ღვინის ქარხანამ უკვე გამოყო 100 ათასი მანეთი, ნაფარეულის სასოფლო საბჭომ — 25 ათასი მანეთი და ა. შ.

დეპუტატებმა განსაზღვრეს ასაგები ობიექტები, მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, მშენებლობის ვადები. მალე აშენდება კულტურულ-საგანმანათლებლო და საბინაო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ოცზე მეტი ობიექტი.

ახალი ნაგებობები დაამშვენებს აგრეთვე სოფელ ლაფანყურს. აქ აშენდება კლუბი, სპორტული მოედნები. გაიჭრება ახალი გზები, ქუჩები და ა. შ.

ვცდილობთ სასოფლო საბჭოს მშრომელებს ჩავუნერგოთ მშობლიური მიწა-წყლის სიყვარული, მზრუნველი დამოკიდებულება მისი შემდგომი აყვავებისა და კეთილდღეობისათვის; ახალგაზრდები ნათლად ხედავენ, როგორ შეიცვალა მათი სოფლის ყოფა-ცხოვრება. ახლა სოფელი მიგრაციას აღარ განიცდის. ჭაბუკები და ქალიშვილები საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საბჭოთა მეურნეობებში ან ქარხნებში რჩებიან სამუშაოდ, უკან ბრუნდებიან ისინიც, რომლებიც უმაღლეს ან სპეციალურ საშუალო განათლებას ეუფლებიან. სოფელში ყოველი მეორე სრულასაკოვანი ადამიანი საშუალო განათლებითაა, ყოველ მეხუთეს აქვს უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი.

გაერთიანებული ძალებით მშენებლობათა დიდი გეგმები დასახეს აგრეთვე წინანდლისა და იყალთოს სასოფლო საბჭოების დეპუტატებმა. ეს თაოსნობა შემდგომში რაიონის ყველა სასოფლო საბჭომ მოიწონა. მეათე ხუთწლედი გამოცხადდა რაიონის სოფლების მშენებლობის და შემდგომი კეთილმოწყობის ხუთწლედადაც.

მარტო კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო საწარმოები, მშენებლობისა და ტრანსპორტის ორგანიზაციები ამ კეთილშობილური იდეის ხორცშესხმას რამდენიმე მილიონ მანეთს მოახმარენ. მშენებლობის ორგანიზაციული მხარე, კონტროლი მის მიმდინარეობაზე, უზრუნველყოფა მუშახელით, ტრანსპორტითა და ადგილობრივი იაფი სამშენებლო მასალით — სასოფლო საბჭოებმა და მათმა დეპუტატებმა აიღეს ხელში.

დეპუტატებმა მუშაობა გაშალეს დევიზით — მეათე ხუთწლედში ყოველ სოფელს უნდა ჰქონდეს კულტურის, ჯანმრთელობის, განათლების საკუთარი კერები, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სპორტული მოედნები, კეთილმოწყობილი ქუჩები, მოედნები, გზები. ჩვენი მიზანია დავამკვიდროთ ქალაქური ყოფა-ცხოვრება!

სასოფლო საბჭოების დეპუტატთა თაოსნობას მხარი აუბეს თელავის საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატებმაც.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოიწონა თელავის რაიონის ადგილობრივი საბჭოების თაოსნობა. ახლა მას გულდასმით სწავლობენ და ნერგავენ ჩვენი რესპუბლიკის სხვა ადგილობრივი საბჭოები.

ვარდისუბნის სასოფლო საბჭო, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვალერიან ქურციკაშვილი, მიწისადმი განსაკუთრებული ყაირათიანი დამოკიდებულების მოძრაობის ინიციატორია. ვარდისუბნის სასოფლო საბჭოში უკვე აითვისეს 45 ჰექტარი მიწა. დეპუტატებმა ნიკოლოზ ჯაშიაშვილმა, ივანე ბერაშვილმა, ამირან ჯაყახიშვილმა, გოგი კობიაშვილმა საკუთარი მარჯვენით გატეხეს ყამირი, მასზე ვაზი და ხეხილი ახარეს. ამ თაოსნობას მხარი დაუჭირეს და რაიონში ათობით ჰექტარი ყამირი აითვისეს შალაურის, გულგულის, კისისხევის სასოფლო საბჭოებმა. ახლახან სასოფლო საბჭოებმა შეიმუშავეს მიწების უფრო ეფექტიანი გამოყენების, რეკულტივაციის ღონისძიებანი.

შალაურის სანერგე მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში დეპუტატთა ჯგუფის ინიციატივით დაინერგა პირუტყვის ინტენსიური სუქება. ახლა სახელმწიფოს მხოლოდ გასუქებული პირუტყვი ბარდება. ჩასაბარებელი მსხვილფეხა პირუტყვის საშუალო წონა 400 კილოგრამს აღწევს, ღორისა— 110 კილოგრამზე მეტია. მკვეთრად გაზარდა ხორცის წარმოება, ხოლო ხარისხის გაუმჯობესებით მეურნეობამ დამატებით ათეულ ათასობით მანეთი მიიღო. დეპუტატებმა წარმატებით გადაწყვიტეს პირუტყვის საკვების დამზადების პრობლემა, რისთვისაც გაზარდეს ნაწვერალზე სიმინდისა და ტურნეფსის თესვა.

სანიორის სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა გაშალეს სოფლის მცხოვრებთა შეჯიბრება მაღალი კულტურისა და სანიმუშო წესრიგის ქუჩების სახელის მოსაპოვებლად. ჯერჯერობით სანიმუშოა ის ქუჩები, რომელთა კომიტეტებს ხელმძღვანელობენ დეპუტატები გიორგი მეგრელიშვილი და ნესტორ იჭირაული. გაჩაღდა შეჯიბრება-კონკურსი აგრეთვე საუკეთესო კარ-მიდამოს სახელის მოსაპოვებლად. ამას წინათ სანიმუშოდ აღიარეს დეპუტატების ლადო ფილაშვილისა და გიორგი მთიულიშვილის კარ-მიდამო.

მეათე ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის კიდევ ერთი კარგი თაოსნობა დაიბადა. მოვაწყვეთ დეპუტატთა თავისებური გადაძახება. ლამაზად გაფორმებული წიგნი მოგზაურობს სასოფლო საბჭოებში და მასში შეაქვთ მასალები იმ სახალხო რჩეულთა წარმატებებზე, რომლებმაც განსაკუთრებით ისახელეს თავი ამომრჩეველთა განაწესისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში. წიგნში უკვე ათობით ხუთწლედის გმირი შევიდა.

თელავის რაიონის მშრომელებს 700-ზე მეტი საუკეთესო ადამიანი ჰყავთ წარგზავნილი ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებში. მათი ცხოვრების მიზანია — ხალხისა და სამშობლოს ერთგული სამსახური!



მარჯვნიდან: ალმასკომის თავმჯდომარე ნიკოლოზ იანვარაშვილი და პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ალექსანდრე კობაიძე აქტივის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავენ რაიონში კაპიტალური მშენებლობის პერსპექტივებს.

თარხან არჩვაძის ფოტო.

## ჟურნალი ჟურნალში

ლექსები

გონდო კეშელავა

### მწამს გული რწმენით ალმოდებული

სათაყვანოა წრფელი გული ადამიანის,
როცა მის ძგერას ამოძრავებს სიტყვა მზიანი.

როცა გეძახის მოძმე შენი და შველას ითხოვს,
ხმას უნდა ენდო, გულს წუთითაც არ შეეკითხო...

გული თუ ხარობს სხვისი ცუდით, სავსეა გესლით,
გამვლელ-გამომვლელს უსაფრდება, შხამს, ნაღველს ესვრის.

განა აზრი აქვს ძგერას მისას, ის რა გულია,
მასზე ამაგი, მასზე ზრუნვა დაკარგულია...

და არც ის ვარგა, იყოს დონდლო, მოდუნებული,
მწამს, მტკიცე გული, რწმენის ცეცხლით ალმოდებული.

გულებმა ახლა უნდა რეკონ, როგორც ზარებმა,
ვეტრფი იმ გულებს, უქნარები რომ ეზარებათ...

●

ვინც კი ხუცდება, ვერ აცდება დაუძლურებას,
დაცაცხანებაც ეზარება და შეძახილიც.
კრიალაც იყოს ცა — გახედავს, დაიბურება,
თვალს არ შორდება გრიგალისგან ხე გადახრილი.

ფართხალებს გული მკერდში, როგორც ჩიტი მახეში,
და ერთი ფიქრი ხან ებრძვის და ხან კი აჯავრებს.

წუთისოფლიდან სჯობდა წასვლა სიჭარმაგეში,
თუ სჯობს მოხუცის აქ ჩანჩალი, თავს ვერ აჯერებს...

●

შეჩვეული ვარ, შეჩვეული ლოდინს და თმენას,
ვით მთებს მშობლიურს, ვით მტკვარს. რიონს. ვით დედაენას.
შეჩვეული ვარ, შეჩვეული ლოდინს და თმენას,
როგორც დროდადრო ბობოქრობას, ჭმუნვას, მოწყენას...

შეჩვეული ვარ, შეჩვეული ლოდინს და თმენას,
დღეს უკვე იგი მირჩევნია ქეიფს, მოლხენას.
რა დრო გასულა, სამოცდაათს ვუახლოვდები.
და ისევ ველი, ისევ ვიცდი და ველოდები.

რას ველოდები?.. სიკვდილს? არა, გწამდეთ, სათქმელი
ბევრი მაქვს კიდევ, უნდა ვწიო ტვირთი აქლემის.
და თუ ვერ ვზიდე, თუ ვერ გავხდი მირონცხებული,
დავრჩები მაინც მოლოდინში დამარცხებული.

●

ერთი იმღერა, მხოლოდ ერთი, ერთი იმღერა,
მე გალურსული ველი, ველი განმეორებას...
ვუცდი, მან ყელი არა... არა... არ მოიღერა,
კვლავ არ მაღირსა იმ გალობის განმეორება.

ნუთუ ცისკრისას ის ერთი ხმით დატკბა და მორჩა,
ნუთუ იმ ერთ ხმას გაატანა ლხენა თუ დარდი...
დაწრიალებენ ღრუბლები და ვარსკვლავი მოჩანს,
როგორც სუროში ჩამალული შაშვის ნისკარტი...




## ამ ჩვენს მამულში

□

არახლოს საბჭოთა მეურნეობამ ჩვენს რესპუბლიკაში პირველმა დანერგა კარტოფილის ადრეულად მოყვანის ორიგინალური მეთოდი — ახლად აგებულ ე. წ. „იაროვიზატორში“ წინასწარ ხდება საადრეოდ მოსაყვანი კარტოფილის გაღვივება.

საგანგებოდ მომზადებულ ნიადაგში აგროწესების ზუსტი დაცვით ითესება კარტოფილის გაღვივებული ტუბერები.

საბჭოთა მეურნეობას ახლა შეუძლია, რომ საადრეო კარტოფილი მოსახლეობას მაისის თვეში მიაწოდოს.



□

საჩხერის რაიონის სოფელ ჭალოვანში ამ რამდენიმე ხნის წინათ აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა ერთსართულიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მასწავლებლებისათვის არის განკუთვნილი.

ახალ შენობაში ორი ოჯახი თავსდება. თითოეული ოჯახის განკარგულებაშია მისაღები ოთახი, საძინებელი, საკუჭნაო-სამზარეულო, კოხტა აივანი, სხვადასხვა სათავსები.

მასწავლებლებისათვის ასეთი შენობის აგება მშენებლებს 20 ათას მანეთამდე უჯდებათ.

□

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში უკანასკნელ ხანებში ფართოდ ინერგება პლასტმასისაგან დამზადებული სხვადასხვა დეტალების წარმოება.



შარშან კიროველებმა აითვისეს 18 დასახელების პლასტმასის დეტალის გამოშვება. ამ სიახლემ ყოველწლიურად მნიშვნელოვნად შეამცირა ძვირფასი მეტალის ხმარება და 20 ათასი მანეთის ეკონომია მისცა საწარმოს.

□

ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულში სანიმუშო წესრიგია დამყარებული. უკვე რამდენიმე წელია, რაც აქ სისხლის სამართლის არც ერთი დანაშაული არ მომხდარა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოს, რომელმაც რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, მოსახლეობაში ფართოდ გაშალა სათანადო პროპაგანდა. ამ საქმეში საბჭოს ყოველდღიურ დახმარებას უწევს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ა. დარასელია.

საზოგადოებრივმა წესრიგმა სათანადო ნაყოფი გამოიღო. სოფლის ყველა შრომისუნარიანი მცხოვრები შრომაშია ჩაბმული. ახალ ხიბულელებმა წარმატებით დაამთავრეს მეცხრე ხუთწლედი, ახლა გაორკეცებული ენერგიით იბრძვიან მეათე ხუთწლედის მიჯნების დასაპყრობად.

□

დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მეფრინველეობის ახალი ფერმა.

კეთილმოწყობილ ფერმაში 12.000 ფრთა კვერცხმდებელი ქათამი და 1000 ინდაური ჰყავთ.

მეათე ხუთწლედის დასაწყისში ახალმა ფერმამ 17 ტონაზე მეტი ფრინველის ხორცი ჩააბარა სახელმწიფოს.

ბაზალეთის მეფრინველეობის ფერმა მალე დიდი რაოდენობით მიაწვდის მშრომელებს ახალ კვერცხსა და ფრინველის ხორცს.



□

გლდანის მალხობლად გამოიყო 100 ჰექტარი ფართობი, რომელზეც დიდ სამამულო ომში დაღუპულ თბილისელ შინმოუსვლელთა ტყეპარკი გააშენეს.

ახლად გაშენებულ ტყე-პარკში, სხვადასხვა მცენარეებთან ერთად, დარგეს და გაახარეს დმანისის სატყეო მეურნეობიდან ჩამოტანილი ქართული მუხები.

განყოფილებისათვის „ამ ჩვენს მამულში“ ინფორმაციები მოგვაწოდეს ჩვენმა კორესპონდენტებმა: უ. ბედიამ, ე. მაჭავარიანმა, ე. ჩილაჩავამ, ა. ანასაშვილმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო ზეიმი დავით გარეჯში

თარხან არჩვაძის ფოტო









ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო ზეიმი დავით გარეჯში



თარხან არჩვაძის ფოტო.





ივანე დავითიანი

# გაბრიელ სუნდუკიანი



უჩა ჯაფარიძის ნახატი

მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ილია ზურაბიშვილი წერდა: „გაბრიელ სუნდუკიანის პიესები ნათარგმნს სრულიადაც არა ჰგვანან, იმდენად ბუნებრივია მათი ქართული სიტყვა-პასუხი, არც ითვლებიან, ეს პიესები ქართულ რეპერტუარში ნათარგმნ პიესებად... მე, პირადად გაბრიელ სუნდუკიანი მიმაჩნია, როგორც სომეხ, ისე ქართველ დრამატურგად, ხოლო მისი პიესები — ქართულ ორიგინალურ პიესებად“.

გაბრიელ სუნდუკიანი თავის წერილში დიდი სიამაყის გრძნობით წერდა „მე ვშრომობდი ჩემი ორი სამშობლოსათვის, ძვირფასი ერისათვის — ქართველი და სომეხი სცენისათვის თანაბრად“.

გაბრიელ სუნდუკიანი თავის პიესებსა და მოთხრობებში, ლექსებსა და კრიტიკულ წერილებში ხალხთა შორის მეგობრობას ქადაგებდა.

სწორედ ამ დიდი სიყვარულით იყო გამთბარი თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გამართული გაბრიელ სუნდუკიანის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა და ფართო საზოგადოებრიობამ. იუბილეში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა სომხეთის დელეგაცია, რომელსაც სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. დალაქიანი ხელმძღვანელობდა.

გაბრიელ სუნდუკიანის დღეები საქართველოში ხალხთა ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურება იყო.

...1909 წლის ზაფხულია. სურამის ქართულ-სომხურმა დრამწრეებმა ერთად მოამზადეს გ. სუნდუკიანის კომედია „პეპო“.

გ. სუნდუკიანი ზაფხულს ხშირად ბორჯომში ატარებდა. მასთან მოსალაპარაკებლად მე მიმავლინეს, რომ სურამში წარმოდგენაზე დასასწრებლად ჩამობრძანებულიყო.

— დიდი სიამოვნებით წამოვალ, სურამის საზოგადოებასაც გავიცნობ და თანაც დანიელ ჰონქაძის ისტორიულ ციხესაც ვინახულებ, — მითხრა მან.

...შაბათი დღეა. მე, არშაკ შუღაროვი და ელენე სულიაშვილი ეტლით გავემგზავრეთ ბორჯომში სუნდუკიანის წამოსაყვანად.

ქალბატონმა სოფიომ, სუნდუკიანის მეუღლემ, გულთბილად მიგვიღო, გვაცნობა, რომ გაბრიელი მძიმე ავადმყოფია.

ქალბატონი სოფიო შეგვიძღვა გაბრიელთან. გაბრიელს ჩვენი დანახვა ესიამოვნა:

— ძალიან მინდოდა სურამის ნახვა, მაგრამ ვერ შევძლებ. ჩემი სალამი გადაეცით გედევანოვსა და ტერ-დავთიანს, დრამწრის წევრებს კი — მადლობა; როცა მოვჯობინდები, უეჭველად ჩამოვალ!

ბორჯომიდან საღამო ჟამს დავბრუნდით.

თეატრთან აუარება ხალხს მოეყარა თავი; აქ იყვნენ მწერლები, სტუდენტები, მოსწავლეები, მოაგარაკენი, — ანტონ მაილიანი, აკოფ ალაბაბი, ნატო გაბუნია-ცაგარელი, ანასტასია ხოშტარია, არმენიანი და სხვები.

სუნდუკიანის ავადმყოფობის ამბავმა ყველა დაალონა.

წარმოდგენამ წარმატებით ჩაიარა; მაყურებელი დიდად კმაყოფილი დარჩა. სურამში მაშინ ორი დრამწრე მუშაობდა — ქართული და სომხური, რომლებიც აქტიურ დახმარებას უწევდნენ ერთმანეთს. სომხურ დრამწრეს ხელმძღვანელობდა პროფესორი გ. გრძელიანი (ახლა იგი 93 წლისაა და ერევანში ცხოვრობს), შემდეგ კი — ამ სტრიქონების ავტორი და გევორქ მანუკიანი, ქართულს კი — ელენე სულიაშვილი და ე. მურმანიშვილი.

დრამწრის წევრები გ. ერისთავის, ზურაბ ანტონოვის, ავქსენტი ცაგარელის პიესების შემდეგ გ. სუნდუკიანის პიესებზე გადავიდნენ; დადგეს: „ერთი ცხვირი ხეირია“, „ხათაბალა“, „პეპო“, „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს“ და სხვა. ეს უკანასკნელი პიესა გაერთიანებული ძალებით რამდენჯერმე დავდგით ქართულ-სომხურად სურამსა და ბორჯომში; ერთ-ერთ წარმოდგენას ბორჯომში ავტორიც ესწრებოდა.

ბორჯომში არერთხელ გვინახავს გ. სუნდუკიანი, რომელიც სიამოვნებით გვესაუბრებოდა ხელოვნებაზე, დრამატურგიაზე, ქართველ და სომეხ ხალხთა მეგობრობაზე.

ერთხელ მას ბორჯომის ცნობილ ჩანჩქერთან შევხვდით. აქაც დიდხანს გვესაუბრა, შემდეგ წამოდგა, ერთ დიდ მუხა'-თან მივიდა, ორივე ხელი შემოხვია და დიდხანს იდგა გარინდებული...

ჩვენ გავბედეთ და შევეკითხეთ:

— ბატონო გაბრიელ, რას ემუსაიფებით მაგ ხეს?

ფიქრებში წასული გაბრიელი ჩვენსკენ შემობრუნდა და სევდიანად გვიპასუხა:

— ესეც ხომ ცოცხალი არსებაა, ესეც იბადება, იზრდება, სუნთქავს, ბერდება და კვდება ჩვენსავით!

1912 წლის 16 მარტს გარდაიცვალა დიდი ჰუმანისტი, გაბრიელ სუნდუკიანი, რომელმაც დატოვა რვა თვით ადრე დაწერილი ანდერძი. აი, ამ ანდერძის ბოლო სტრიქონები:

„მშვიდობით, მე წავედი, იმისთანა ალაგას, საიდანაც რაც ქვეყანა არსებობს, არავინ დაბრუნებულა.

თუ ვისმესთვის რაიმე დამიშავებია, ვთხოვ, მაპატიოს, ვისაც ჩემთვის დაუშავებია, მეც ვაპატიებ წმინდის გულით....

ჩემი დაკრძალვის დროს არავითარი სამზადისი არ არის საჭირო...

შავები არც ერთ ოთახში არ იყოს და, თქვენც ჩემო აზიზო სოფიო, გულით საყვარელო შვილებო და შვილიშვილებო, თუ შავებს არ ჩაიცვამთ, ძლიერ კარგს იზამთ.

„ვენოკები“ (გვირგვინები) ერთიც არ იყოს არც სახლში, არც კარში, არც თქვენ შეუკვეთოთ, არც სხვისგან მიიღოთ, ადრევე შეატყობინეთ, რომ არავის ეწყინოს.

ჩემს დაკრძალვამდე სახლში არავითარი პანაშვიდი არ გადაიხადოთ...

გაზეთები არ გაავსოთ მრავალი და მახინჯი განცხადებით...

ჩემი სიკვდილის განცხადება დაწერეთ უბრალოდ და ჩემს ხარისხს ნუ გამოაცხადებთ.

ჩემი ნამსახურების ჯვრები და ჩინები არც ბალიშებზე და არც უბალიშოდ სრულებით არ იყოს.

ბალდახინი და ცერემონიები სრულებით არ იყოს... რვა მუშა და რვა კინტო მოიწვიეთ რიგრიგად. ჩიტივით გამაფრენენ; იქნებ მათ შორის პეპოც აღმოჩნდეს.

თუ გულით გსურთ ჩემი ძეგლის დადგმა და ამის ღირსი ვარ, ეს ძეგლი ჩემს მაგიერ „პეპოს“ დაუდგით, ასეთი წარწერით: „პეპო. ეს ბარათი მაგ მოტეხილი ხელით არ დაგიწერია?“

ქელეხ-მელეხი სრულებით არ არის საჭირო.

მშვიდობით, ჩემო საყვარელო თბილის-ქალაქო!

მშვიდობით, საყვარელო ადამიანებო, რომელი ეროვნებისა, ტომისა და სარწმუნოებისაც უნდა იყოთ!

მშვიდობით, ჩემო საყვარელო და სათაყვანებელო ეროვნებავ!

ყველას სიყვარული ჩემს გულში ღრმად ჩამარხული თან მიმაქვს.

მშვიდობით!

ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲡᲣᲜᲓᲣᲙᲘᲐᲜᲘ“.

დავით გარეჯი... ქართული კულტურის უნიკალური ძეგლი... შორეულ წარსულში, ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში დავით გარეჯმა თავის მოწაფეებთან — ლუკიანესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა პირველ მონასტერს დავითის ლავრას. ამის შემდეგ, მომდევნო საუკუნეებში კლდეში გამოიკვეთა მონასტერთა კომპლექსები ბერთუბანი, დოდოს რქა, უდაბნოს მონასტერი, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, მღვიმე მაღაზანი, ქალაგირი, დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები, ვერანგარეთა, პირუკუღმართი, ბერების სერი. ცნობილია, რომ დავით გარეჯში დიდი სამწერლო საქმიანობაც იყო გაჩაღებული, რომ აქ ბევრი ხელნაწერი წიგნი გადაიწერა. დღეს ამ დიდებული ძეგლის დაცვისა და აღდგენისათვის გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული. 1978 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით ჩამოყალიბდა მუზეუმი — ნაკრძალი „დავით გარეჯი“, ეს კი მიზნად ისახავს გარეჯის დაცვას, რესტავრაციას, კეთილმოწყობას და ძეგლის შესწავლას. ახლა დავით გარეჯის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. გარეჯის უდაბნოში შეიქმნა სახალხო უნივერსიტეტი. ამიერიდან დავით გარეჯში ყოველ წელიწადს მაისის მეორე კვირას გაიმართება სახალხო ზეიმები.

უნივერსიტეტში ლექციებს წაიკითხავენ რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერები, მოეწყობა შეხვედრები, გაიმართება მრავალი ღონისძიება. ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ახალი კულტურული ტრადიციების დამკვიდრებას და დავით გარეჯის ძეგლის დაცვას.



# დიდი თეატრი 200

დიდი თეატრი.., მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი კერა, საბჭოთა კულტურის დიდება და მშვენება. მოსკოვში ჩასული ყველა სტუმარი ოცნებობს აკადემიურ თეატრში მოხვედრაზე, ადამიანთა მრავალი თაობა დადიოდა და დადის დიდ თეატრში, რომ ეზიაროს კულტურის უბადლო ქმნილებებს, საბჭოთა და მსოფლიო მუსიკის საგანძურს. ხალხს ჭეშმარიტად ატკბობს დიდი თეატრის ნიჭიერ ოსტატთა ხელოვნება. სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრი 200 წლისაა, მთელმა საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ეს შესანიშნავი თარიღი. ორი საუკუნის მანძილზე თეატრმა განვლო სახელოვანი გზა, აღსავსე მხატვრული მიღწევებით.

დიდი თეატრის სცენაზე გამოდიოდნენ ხელოვნების ვარსკვლავები: ე. გელცერი, ვ. ტიხომიროვი, ლ. სობინოვი, ა. ერმოლაევი, ნ. ობუხოვა, ა. ნეჟდანოვა, თ. შალიაპინი, გ. ულანოვა, ს. ლემეშევი, ო. ლეპეშინსკაია, ი. კოზლოვსკი, ნ. გოლოვანოვი.

ამ დიდებული ტრადიციის მქონე თეატრში იდგმებოდა და იდგმება რუსული და მსოფლიოს კლასიკური შედევრები. წლების მანძილზე დიდი თეატრის სცენაზე ჟღერდა მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის მარგალიტები გამოდიოდნენ ჩვენი თანამემამულეები. დღეს ქართული ვოკალური სკოლის დიდებულ ტრადიციებს დიდი თეატრის სცენაზე წარმატებით აგრძელებენ და თავისი უზადო ოსტატობით ბრწყინავენ ქართველი მომღერლები.

## ხელოვნების დიდი ტაძარი

ორასი წლის წინათ მოსკოვში, პეტროვსკის ქუჩაზე, ანტრეპრენიორმა ურუსოვმა ააშენა თეატრალური შენობა, რომელსაც იმთავითვე დიდი თეატრი ეწოდა. აკადემიური თეატრი თავისი არსებობის საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე აერთიანებდა ოპერას, დრამას და საბალეტო ხელოვნებას. სულ მალე აქ თავი მოიყარეს საუკეთესო სცენურმა ქმნილებებმა, დიდმა თეატრმა ამით ხელი შეუწყო რუსული პროგრსული ხელოვნების აღორძინებას.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დიდ თეატრს დაუდგა განახლების, გაფურჩქვნის ხანა. დიდმა თეატრმა იმთავითვე ყურადღება მიაქცია საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების საოპერო თეატრებს — ეხმარებოდა მათ კადრების აღზრდაში, ნაციონალური რეპერტუარის შექმნასა და განხორციელებაში. თავის საუკეთესო სპეციალისტებს აგზავნიდა სხვადასხვა რესპუბლიკის საოპერო თეატრებში და სცენას უთმობდა ჩვენი რესპუბლიკების დეკადებს. ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე, 1939 წელს, ქართული ხელოვნების პირველი დეკადის შემდეგ დიდ თეატრში დაიდგა ჩვენი მუსიკის მარგალიტი ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი"; მის სცენაზე დაიდგა კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძის „ლალის ვარსკვლავები".

თბილისის საოპერო თეატრის სტუმრები იყვნენ დიდი თეატრის წამყვანი მსახიობები, დირიჟორები, მხატვრები, დიდი თეატრის სცენაზე საგასტროლოდ ხშირად იწვევდნენ თბილისის ოპერის თეატრის მომღერლებს. 30-იან წლებში შეიქმნა შესანიშნავი ტრადიცია — ქართველ ხელოვანთა დიდ თეატრში რეგულარული მუშაობისა. ბევრი ქართველი მომღერალი ეწეოდა იქ შემოქმედებით მუშაობას, ეუფლებოდა დიდ ხელოვნებას.

გარკვეული კვალი დატოვეს ქართველმა მომღერლებმა დ. გამრეკელმა, დ. მჭედლიძემ, დ. ანდღულაძემ, დ. გოცირიძემ, დ. ბადრიძემ, ბ. კრაველიშვილმა, ზ. ანჯაფარიძემ, გ. ყიფიანმა; საგასტროლოდ ხშირად მიუწვევიათ მ. ამირანაშვილი, ლ. ჭყონია, ც. ტატიშვილი, ნ. ანდღულაძე და სხვა ნიჭიერი ქართველი მომღერლები.

დიდ თეატრში დირიჟორობდა ოდისეი დიმიტრიადი; აქ განახორციელა ვ. ჭაბუკიანმა „ლაურენსია", ბალეტის მოყვარულებს დიდხანს ატკბობდა ელენე ჩიკვაიძე, მიხეილ სულხანიშვილი (იგი სამამულო ომში დაიღუპა); საყოველთაოდ არის აღიარებული მხატვრები სოლომონ ვირსალაძე და კარლო კუკულაძე, რეჟისორები იოსებ თუმანიშვილი, ტიციან შარაბიძე, მიხეილ კვალიაშვილი.

დიდი თეატრის სცენაზე დღეს ურთულეს საოპერო პარტიებს ასრულებენ ქართველ მომღერალთა მომდევნო თაობის საუკეთესო წარმომადგენლები: ზურაბ სოტკილავა და მაყვალა ქასრაშვილი.

ძალზე სასიხარულოა, რომ თეატრის მომდევნო წლების რეპერტუარში შეტანილია ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცება" და ა. მაჭავარიანის ბალეტი „ვეფხისტყაოსანი".

დღეს დიდი თეატრის ავტორიტეტი საყოველთაოდ არის აღიარებული. ხალხთა მეგობრობა, ჰუმანიზმი, პროგრესული იდეები, რომლებიც მის ხელოვნებაშია ჩაქსოვილი, მადლიერებით აღუვსებენ გულს მთელი მსოფლიოს მსმენელსა თუ მაყურებელს.

**დიმიტრი მჭედლიძე**

## დაუვიწყარი დღე

ვიდრე გიამბობდეთ ჩემს გამოსვლაზე მოსკოვის დიდ თეატრში, საბჭოების მერვე საგანგებო ყრილობის დელეგატთა კონცერტზე, მინდა გავიხსენო ლენინგრადი, ჩემი საყვარელი ქალაქი, გიამბოთ, როგორ გამიცნო ლენინგრადელმა მაყურებელმა.

ეს იყო 1936 წელს. მოსკოველები ჯერ არ მიცნობდნენ, ლენინგრადელები მით უმეტეს. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ლენინგრადში გასტროლებზე ჩავედი. სადგურზე არავინ დამხვდა, ეტლში ჩავჯექი და თეატრს მივადექი. ადმინისტრატორმა მოთხრა, რომ კონცერტი მცირე დარბაზში შედგება, დიდი დარბაზი სარისკოა, რადგან ამ ქალაქში თქვენი კონცერტი პირველია და შესაძლოა ხალხი არ დაესწროსო.

მართლაც, გამართლდა ადმინისტრატორის წინასწარმეტყველება. სცენაზე გამოვედი და რას ვხედავ! დარბაზი ცარიელია, აქა-იქ თითო-ოროლა მსმენელი ზის. ადმინისტრატორიც კი არ ესწრება კონცერტს; ხასიათი გამიფუჭდა, უღიმღამოდ წამოვიწყე სიმღერა, ჩემს წინ უცებ მიკროფონი შევნიშნე, ე. ი. დარბაზი რადიოფიცირებულია.. „ჩემი სიმღერები ქალაქს გადაეცემა",— გავიფიქრე მე და კარგ ხასიათზე დავდექი. გამამხნევა აგრეთვე მაყურებელმა, ყოველი სიმღერის შემდეგ დარბაზში მყოფი ათი კაცი ისეთ ოვაციას მიმართავდა, გეგონებოდათ კონცერტს ათასი კაცი ესწრებაო. დამთავრდა პირველი განყოფილება, დაიწყო მეორე. სცენაზე გამოვედი და... მეგონა მომეჩვენა — დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. პირველ რიგში თვალი მოვკარი ადმინისტრატორს, კმაყოფილი ღიმილით ხელისგულებს რომ იხეთქავდა. ჩემთვის გასაგები გახდა — ხალხი რადიოგადაცემამ მოიზიდა.

იმ საღამოს ორი პროგრამით გამოვედი ლენინგრადელთა წინაშე. მაყურებელი სცენიდან არ მიშვებდა. ისევ და ისევ მიხმობდა სცენაზე.

ამის შემდეგ იმავე წელს ლენიგნრადში კვლავ მიმიწვიეს. ჩემი კონცერტი 4 დეკემბერს უნდა შემდგარიყო. ჩავედი კონცერტის ჩასატარებლად, რომ ადმინისტრატორმა გადმომცა: 5 დეკემბერს მოსკოვის დიდ თეატრში შედგება კონცერტი საბჭოების მერვე საგანგებო ყრილობის დელეგატებისათვის, კონცერტში მონაწილეობის მისაღებად თქვენ ხართ მიწვეულიო.

ადმინისტრაციას სხვა გზა არა ჰქონდა და გამოაცხადა, რომ ჩემი კონცერტი გადაიდო. ხალხმა ისეთი დღე აყარა მოლარესა და ადმინისტრატორს, რომ მე დავთანხმდი კონცერტი შემდგარიყო. დამთავრდა თუ არა კონცერტი, მოსკოვისკენ გავემგზავრე და აი, ურეპეტიციოდ წარვსდექი დიდი თეატრის სცენაზე.

თეატრი გაჭედილი იყო. სცენაზე გამოვედი თუ არა თვალი მთავრობის ლოჟისაკენ გავაპარე. ლოჟაში ისხდნენ: ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე, კ. ვოროშილოვი, მ. კალინინი და სხვები. ადმინისტრაციამ ბისზე გამოსვლა თვითეულ ჩვენგანს აუკრძალა. თეატრის ხელმძღვანელებს ვთხოვე: „თავო ჩემოს" შევასრულებ-მეთქი. უარი მითხრეს, მაშინ გადავწყვიტე, „ურმული" მემღერა. და აი, „„ურმული" წამოვიწყე, ვიგრძენი როგორ გაინაბა დარბაზი, გამბედაობა მომემატა და ის იყო სიმღერა დავამთავრე, რომ დარბაზში ტაშმა იქუხა. მე მადლობის ნიშნად თავი დავუკარი ხალხს და სცენიდან გავედი. დარბაზში ტაში არ ცხრებოდა. ტაში ოვაციებში გადაიზარდა.

ერთი სული მქონდა, გავსულიყავი და „ურმული" გამემეორებინა. უცებ დავინახე ლოჟის კარები გაიღო და იქიდან კ. ვოროშილოვი და ს. ორჯონიკიძე გამოვიდნენ. ისინი მოვიდნენ კულისებში, პირმღიმარნი მომიახლოვდნენ, ხელი მაგრად ჩამომართვეს.

— კაცო, რატომ არ მღერი ხალხი რომ გთხოვს? — მითხრა ორჯონიკიძემ.

— უნდა იმღერო, ჩემი შეკვეთაა ვერტერი! — მითხრა ვოროშილოვმა.

— ჩვენი — „თავო ჩემო", ხომ იცი ვისი? — მითხრა ორჯონიკიძემ და ხელით ლოჟისკენ მანიშნა, — გადი, იმღერე, რას გაჩერებულხარ?

ადმინისტრატორს შევხედე. მან თავი დამიქნია, სცენაზე გავიდა და საზეიმოდ გამოაცხადა:

— დავით ბადრიძე კიდევ იმღერებს! ვიდრე ნოტებს მონახავენ, მარინა სემიონოვა გამოვა!

სცენაზე მარინა სემიონოვა გავიდა. სემიონოვას შემდეგ კვლავ მაყურებლის წინაშე წარვსდექი. ვიმღერე „ურმული" და „ლამაზი ქალი" „რიგოლეტოდან".

...თხუთმეტი წელი ვმღეროდი დიდი თეატრის სცენაზე, ბევრი ღირსახსოვარი დღე მახსოვს ამ თეატრის სცენაზე, მაგრამ ის დღე ჩემთვის დაუვიწყარია.

**დავით ბადრიძე**

## ძვირფასი და ახლობელი

დიდი თეატრი, მისი კოლექტივი საოცრად ძვირფასი და ახლობელია ჩემთვის. დიდი თეატრის სცენაზე 1981 წლიდან — დავით ანდღულაძის დებიუტიდან დაწყებული ქართველ მომღერალთა თაობები ცვლიან ერთმანეთს.

დიდ თეატრში პირველად 1957 წელს საზეიმო კონცერტზე მიმიწვიეს. მამაჩემი — დავით ანდღულაძე, მაშინ ფეხს იტკიებდა და ჯოხით დადიოდა. მახსოვს სცენაზე, კულისებში ამომყვა. სცენის მუშებმა დავით ანდღულაძე კოჭლობით მიმავალი რომ დაინახეს, შემოეხვივნენ; ერთმა ხანდაზმულმა მუშამ შესძახა:

— ნუთუ ეს თქვენა ხართ? პირველი მხედარი?!.

დიდი თეატრის ძველ თაობას ახლაც ახსოვს ოპერა „ჰუგენოტებში" რა მოხდენილად შემოაჭენებდა ცხენს დავით ანდღულაძე.

დიდ თეატრში უყვარდათ დავით ანდღულაძე. მახსოვს, მაშინ როგორ მიესალმა მას ორკესტრი.

სამი წლის შემდეგ, ჩემი სადებიუტო სპექტაკლების დროს („აიდა", „კარმენი"), მამაჩემი თბილისში აპირებდა წამოსვლას (თბილისის კონსერვატორიაში მის სტუდენტებს გამოცდები ეწყებოდათ).

— მე რომ შენს ადგილზე ვიყო და ჩემი შვილი დიდ თეატრში გამოდიოდეს, თბილისში ნამდვილად არ წავიდოდი! — უთხრა მელიქ-ფაშაევმა.

მამაჩემმა უპასუხა:

—რა ვქნა, იქაც რომ შვილები მელოდებიან?!

დიდ თეატრში ქართველი მომღერლის გამოსვლა ყოველთვის დღესასწაულია — კეთილგანწყობილება სუფევს როგორც სცენაზე, ისე მაყურებელთა დარბაზში.

ერთხელ ოპერა „აიდას" მსვლელობის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდი თეატრის გამოჩენილი მომღერლები, პავლე ლისიციანს მოეჩვენა რომ მაყურებელი ისე არ ლებულობს ცალკეულ სცენებს, როგორც საჭიროა (წარმოდგენა რაღაც ოფიციალურ ღონისძიებას ეძღვნებოდა. ამიტომ „თეატრალური" მაყურებელი ნაკლებად იჯდა დარბაზში), იგი მომიბრუნდა და მითხრა:

— ასეთ დონეზე რომ მიდიოდეს მეტროპოლიტენში სპექტაკლი, იცი რა ამბავი იქნებოდა?

— რა ამბავი? — შევეკითხე მე.

— აი, როგორც თბილისში!.. — მითხრა მან.

და ახლა როცა დიდ თეატრში ზურაბ სოტკილავას სპექტაკლებს ვესწრები — „ტრუბადურს", „კარმენს", „ტოსკას", „იოლანტას", „აიდას", როცი კაპელდინერებიდან დაწყებული დიდი თეატრის სახელგანთქმული ქანდარით დამთავრებული, ყოველი სცენის შემდეგ ოვაციებს ბოლო არ უჩანს, მახსენდება პავლე ლისიციანის სიტყვები: „ისე ლებულობენ, როგორც თბილისში!"

**ნოდარ ანდღულაძე**

## გზა დიდი თეატრისაკენ

ორმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მე დიდი თეატრის სცენაზე ვმღერი. არაფერი ისე არ მეამაყება, როგორც ის, რომ დღეს დიდი თეატრის სოლისტი ვარ. ჩემთვის არ არსებობს იმაზე დიდი კმაყოფილება, ვიდრე ის, როცა ამ სცენაზე ვმღერი, როცა აკომპონიმენტს მიწევს დიდი თეატრის ორკესტრი, როცა ჩემთან ერთად მღერის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, როცა პარტნიორობას მიწევენ სცენის ისეთი ოსტატები, როგორებიც არიან: ი. არხიპოვა, ე. ობროზცოვა, თ. მილაშკინა. და ბოლოს, არ არის იმაზე უფრო საამაყო და სასიხარულო, ვიდრე ის, როცა მღერი ისეთი მაყურებლის წინაშე, როგორიც დიდი თეატრის მაყურებელია.

არ დამავიწყდება ერთი ეპიზოდი დიდ თეატრში ჩემი მოღვაწეობიდან: იმ სალამოს ვმღეროდი ვერდის ოპერაში „ტრუბადური" (მანრიკოს არიას) მანრიკოს პოპულარულ არიას სხვადასხვა სოლისტი სხვადასხვანაირად მღერის. ზოგი მღერის დო მაჟორში, ზოგი — სიბემოლ მაჟორში. მე, სიბემოლ მაჟორში უნდა მემღერა, მაგრამ უცებ მომესმა, რომ ორკესტრის ერთმა ნაწილმა ერთ ტონალობაში დაიწყო დაკვრა, ხოლო მეორემ — მეორე ტონალობაში. მე ავყევი იმ ნაწილს დო მაჟორში რომ უკრავდა. დირიჟორი არ დაიბნა და მალე „მოაგვარა საქმე" — ორკესტრი იმ ტონალობაში გადაიყვანა, რომელშიც მე დავიწყე სიმღერა. ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა. სპექტაკლის ყველა მონაწილეს დიდი წარმატება ხვდა წილად, მაგრამ როდესაც სცენაზე მადლობის სათქმელად გამოვედი, მაყურებელმა ისეთი ოვაციები გამიმართა, რომ ჩემთვის ცხადი გახდა მაყურებლის რეაქცია — მას არაფერი გამოეპარა.

როცა ტაშს მიკრავს დიდი თეატრის მაყურებელი, თვალწინ მიდგას ჩემი მასწავლებელი დავით ანდღულაძე, რომელმაც დამაყენა ამ დიდ გზაზე— გზაზე დიდი თეატრის სცენისაკენ და მადლობის გრძნობით ვივსები მისადმი.

**ზურაბ სოტკილავა**

## მადლობა დიდ თეატრს

ამ საზეიმო დღეებში მაგონდება ჩემი პირველი გამოსვლა დიდი თეატრის სცენაზე. ამ ათი წლის წინათ ვიმღერე „პიკის ქალში". რამდენი სითბო და ყურადღება გამოიჩინეს ჩემს მიმართ კოლეგებმა, როგორ უხაროდათ თეატრში ჩემი წარმატება. „პიკის ქალის" შემდეგ თოთხმეტი პარტია შევასრულე და ისევ და ისევ ვგრძნობდი კოლექტივის კეთილგანწყობილებას ჩემდამი. თეატრის მთავარმა რეჟისორმა ბ. პოკროვსკიმ ჩემს დაოსტატებაში დიდი როლი ითამაშა.

ამ დღეებში პოლონეთში მივემგზავრები, მიწვეული ვარ ოპერა „ტოსკაში". მახსენდება ამ როლზე მუშაობა. ოპერა „ტოსკას" განახლებული დადგმა დიდი თეატრის სცენაზე 1971 წელს განხორციელდა. ამ დროს მე უკვე მქონდა თეატრში მუშაობის ექვსი წლის სტაჟი, წამყვან პარტიებს ვმღეროდი მთელ რიგ ოპერებში, მაგრამ, რადგან „ტოსკა" ურთულეს პარტიად ითვლება, თეატრის ხელმძღვანელობამ სპექტაკლში არ შემიყვანა.

პუჩინი ჩემი საყვარელი კომპოზიტორია და ტოსკას პარტია ჩემი ოცნება იყო. ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტმა მოვამზადე ამ ოპერის მესამე აქტი და ზურაბ სოტკილავასთან ერთად ვიმღერე ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სცენაზე. ახლა გავიმეორე მესამე აქტი და ვთხოვე დიდი თეატრის კონცერტმეისტერს ლია მოგილევსკაიას ჩემთვის მოესმინა. არაფერი გამოვიდა.

— მაყვალა, -- მითხრა მან, — ეს პარტია შენთვის ადრეა, მჯერწმუნე, ადრეა. სჯობს, ამაზე ოცნებას თავი დაანებო!

გავიდა ხანი და ისევ შევუჩნდი ლ. მოგილევსკაიას — მომისმინე მეთქი. მომისმინა. იმ დღის შემდეგ, ჩუმათ, ისე, რომ არავის გაეგო, დავიწყე ამ პარტიის შესწავლა. ვსწავლობდი პარტიას, დავდიოდი დიდ თეატრში „ტოსკას" ყოველ რეპეტიციაზე. როცა სპექტაკლი მთლიანად შევისწავლე, მეყო სითამამე და ვთხოვე ოპერის თეატრის დამდგმელ რეჟისორს ბორის პოკროვსკის, ტოსკას შემსრულებელთა სიაში შევეტანე. ჩემი თხოვნა მაშინვე განიხილა სამხატვრო საბჭომ, მომისმინეს და მეორე დღეს „ტოსკას" შემსრულებელთა სიაში შემიყვანეს. ორი კვირის შემდეგ სპექტაკლი დანიშნეს. ბ. პოკროვსკიმ ორჯერ მომისმინა პარტნიორების გარეშე, ძალიან ვღელავდი, ღელავდა მთელი კოლექტივი. სპექტაკლმა დიდებულად ჩაიარა. ასე დამკვიდრდა ჩემს რეპერტუარში მიქაელას („კარმენი"), ტატიანას („ევგენი ონეგინი"), ნატაშას („ომი და მშვიდობა"), მარგარიტას („ფაუსტი"), პოლინას („მოთამაშე"), ლეონორას („ტრუბადური"), იოლანტას („იოლანტა") და სხვა პარტიების გვერდით „ტოსკა".

მადლობა ჩემს მასწავლებელს ვერა დავიდოვას, მადლობა დიდ თეატრს!

**მაყვალა ქასრაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ანდღულაძე, დ. ანდღულაძე, ზ. ანჯაფარიძე და ზ. სოტკილავა.

მხატვარი მ. გაბუნია



ქართველი მომღერლები მოსკოვში (1935 წ.). მარცხნიდან (დგანან): ვ. კანდელაკი, ს. გოცირიძე და დ. ბადრიძე; სხედან: დ. ანდღულაძე და დ. მჭედლიძე.



მ. ქასრაშვილი.

# ლექსები

ტაგუ მებურიშვილი

## რა დრო გასულა!

რა დრო გასულა!
ცოტა ჰაერს
იტევს ფილტვები.
რა დრო გასულა! —
თანაგრძნობის,
ალერსის,
რისხვის...
გადაფრენილან სიყვარულის
ჭრელი ჩიტები
და ოცნებიდან
შემოდგომის სიჩუმე ისმის.
მაშინ დილის მზე
იცინოდა მირიად ცვარში,
ხე რომ ხე იყო,
სამეგობროდ ხელებს მიწვდიდა...
ბაბუაწვერას
სიმსუბუქით დავქროდი ცაში,
რა ახლო იყო
მაშინ ზეცა დედამიწიდან!
მე მახარებდა
იმედების ბარდნა და ბარდნა,
სიტყვასთან ომი.
ის ღვთიური
ოფლი და ხვითქი...
ყველა მიყვარდით,
გიჯერებდით ტყუილსაც მართლად,
რწმენის ტოტებზე
არ ყვაოდა
ეჭვების ფითრი.
მერე
დარდად და სიხარულად
ცრემლები ჩქეფდა
და ნაფეთქდა სიყვარული
ამ მზის და ამ ცის...
მერე ყოველდღე იბარებდა
გამოცდას ჩემგან
წუთისოფელი —
მობღვარივით სათნო და მკაცრი!
რა დრო გასულა!
ცოტა ჰაერს
იტევს ფილტვები
რა დრო გასულა! —
თანაგრძნობის,
ალერსის,
რისხვის...
გადაფრენილან სიყვარულის
ჭრელი ჩიტები
და ოცნებიდან
შემოდგომის სიჩუმე ისმის.

## არგოხი

არგოხი!
მზის ნათელგადაღვრილ
ზეცაში ორბის ფრთის ტკაცუნი,
სუფრაზე ცეცხლივით არაყი!
სუფრასთან ცეცხლივით ასული.
ხანძარი ყვითელი დალალის
მკიდა,
თვალებიც მწყალობდნენ...
ვსვამდი და მიყვარდა
და მაინც
სუფრიდან ფხიზელი წამოვდგ.
მასპინძლის სალხენი ვილხინე,
მასპინძლის საგლოვი ვიგლოვე
და რაიც ვიგრძენ და ვიხილე
ვუმადლი იმ მთებს და იმ გორებს.
არგოხი!
მზის ნათელგადაღვრილ
ზეცაში ორბის ფრთის ტკაცუნი,
სუფრაზე ცეცხლივით არაყი,
სუფრასთან ცეცხლივით ასული.

●

ო, აქ ოდესღაც იყო სამეფო
ჩვენი ვნებების,
ოცნებების
და სიყვარულის.
ამ ტყის სიჩუმის
თბილ ბუდეში გამოიჩეკა
ბარტყივით
ჩვენი სიყვარული და დაფრთიანდა;
და გალობდა
ბულბულებთან,
შაშვებთან ერთად, თავდავიწყებით.
ტყეში ხმაური იზრდებოდა ბალახივით,
ახლად ამოწვერილი ბალახივით
ნაზი და თოთო.
ტყე შენსავით სურნელოვანი
და გამგონე იყო.
ვიწექ გულაღმა,
ირხეოდა გაფოთლილი ცა.
ტყე იქსებოდა
შენი გულის ფეთქვის მუსიკით..
და ზეიმობდა დიდ სიმწვანეს
და ჩვენს სიყვარულს!






# თქვენ გემსახურებათ ანიკო ბურნაძე

თბილისის რკინიგზის ვაგზლის გადაღმა უბნებში ყველა კარგად იცნობს ანიკო ბურნაძეს. ოცდათოთხი წელი ცოტა როდია! სავაჭრო სამუშაოს მეოთხედი შესრულდება, რაც ოქტომბრის რაიკვებვაჭრობის № 8 მაღაზიის უფროსი გამყიდველი ანიკო ბურნაძე ჩვეული ღიმილითა და თავაზიანობით ეგებება მომხმარებლებს.

ტყუილად როდი ეძახიან გაჭირვების ტალკვესს: უფროსი გამყიდველი ყოველთვის იქ არის, სადაც მაღაზიას უჭირს. თუ რომელიმე გამყიდველი მოულოდნელად შეუძლოდ გახდა, მის ადგილს ანიკო ბურნაძე იკავებს. მეზობელ სექციაში მომხმარებელთა რიგი დადგება და გამყიდველს მაშინვე ისევ უფროსი გამყიდველი წაახმარს ხოლმე ხელს.

ანიკო ბურნაძეს ხშირად შეკვეთის მაგიდასთან ნახავთ. გულმოდგინედ იღებს და ინიშნავს მომხმარებელთა დაკვეთებს შინ მისატან სხვადასხვა პროდუქტებზე.

საქმის სიყვარულმა, თავისი პროფესიისადმი გულმართალმა პატივისცემამ, მუდამ უანგარო, თავდადებულმა შრომამ ანიკო ბურნაძეს საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული მოუხვეჭა.

საბჭოთა ვაჭრობის ერთ-ერთი სამაგალითო წარმომადგენელი ანიკო ბურნაძე რამდენიმე წლის წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. ახლახანს იგი კიდევ ერთ დიდ სიხარულს ეზიარა: პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დაუფასა თავდადებული შრომა; ანიკო ბურნაძე ჩვენი, სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

— ეს საპატიო ჯილდო ჩვენი ადამიანებისადმი კიდევ უფრო გულითად და კულტურულ მომსახურებას მავალებს! — ამბობს ანიკო ბურნაძე.

ვაჭრობის მუშაკს კარგად ახსოვს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის შთამბეჭდავი სიტყვები, რომლითაც მან ვაჭრობის მუშაკებს მიმართა: „თქვენზე, თქვენს შრომაზე ბევრად არის დამოკიდებული საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა და განწყობილება. გახსოვდეთ ეს, იშრომეთ უფრო უკეთ და ინიციატივით, დაეწიეთ მოწინავეებს".











● ანიკო ბურნაძეს მაღაზიის თანამშრომლები ულოცავენ მაღალ ჯილდოს.
● პატარა მომხმარებლებთან.
● — ინებეთ ახალი ნამცხვარი!
● — ვეცდები გავამართლო მაღალი ჯილდო!
● დედა სკოლაში მიაცილებს თამილასა და მამუკას.

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო

# ალოობა



ელგუჯა მერაბიშვილი

მხატვარი დიმიტრი ერისთავი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

სოფლის განაპირას, ძველი სახლის აივანზე ბერიკაცი მოჩანს. ტახტზე ზის, ჯოხზე დაყრდნობილ ხელებზე თეთრწვერა ნიკაპი შემოუდევს და ქანდაკებასავით უძრავი გაჰყურებს ცის დასალიერს.

სულ ახლოს, კარწინ ყანების უნაპირო ზღვა იწყება. ღელვაა მწვანე ზღვაზე. ერთმანეთს ეხლებიან ტალღებად აგორებული თავთავები.

როგორც კი შეღერებული ჯეჯილის დაბუშტული ღეროებიდან პირველი ფხები ამოიწვერება და ყანა ენას ამოიდგამს — სიოს ყოველ მიალერსებაზე ამღერდება, მიხა პაპას სახლში აღარ უდგება გული, ქვეშაგებს აივანზე ამოატანინებს დედაკაცს, ძველ ტახტზე წამოწვება და მთელ ღამეს ესმის სავსე მინდვრის ღელვა და მწყრების კუთკუთი.

მერე ყანის ყვავილობა იწყება, ფერს იწმენდს თავთავი და მწვანე ზღვის აგორებული ტალღები ნაპირზე რიყავს სარეველებს. ყანის ნაპირას აჭრელებულ ყვავილებზე ფრთადამტვერილ ნამიან პეპლებს სძინავთ, სურნელოვანი ოხშივარი უდის ყვავილთა ხოსანისფერ გუბეებს, ხოლო ყორულებში მოლივლივე ღილილოების ტბაში მარჯნის მეწამულ კუნძულებად მოჩანან ყაყაჩოთა კორომები...

ახლა ალოობაა, ყანა მწიფს, თავთავები ოქროში ივლებენ გაფიცხებულ ფხებს, ერთმანეთს ეხლებიან და ზანზალაკებივით ჟღერენ...

აი, ეს გაუთავებელი ხმაური უყვარს მიხა პაპას, ყანის მწიფობის ჟამი, ოღონდ ნაღველის მოძალებაც იცის ალოობის მოახლოებამ, წუთისოფლის წარმავლობაზე დააფიქრებს ხოლმე ბერიკაცს.

„ხმება ყანა, მუხლამდე რომ წყალი შეუყენო, მაინც გახმება... დრო მოჭამა, — გაუელვებს ხოლმე ფიქრი, — კარგია თუ მარცვალი მაინც დაისრულა და სალი თესლეული რჩება საგაისოდ, თუ არადა მაშინ სამუდამოდ წუდება მისი ჯიში და ჯილაგი... ადამიანიც ასეა".

„მე უფრო აგერ იმ ქედს ვგევარ, ყანების მიღმა რომ მოჩანს, უნაყოფო ავშნით დაფარულს, მისთვის არასოდეს დგება ალოობა, ჭალარა კია, მაგრამ გაზაფხული არასოდეს არ ჰქონია, არც ყვავილობის სინაზე და არც ნაყოფიერებით ტკბობა არ განუცდია..."

მიხა პაპა თავს ისაწყლებდა, თორემ რა ჰქონდა ავშნიან ქედთან დასაბაძი?.. მისი სიცოცხლის გაზაფხული ახლაც ატყვევებდა მოგონებებით... თეკლე ქალი, ახლა რომ დაბლა კიბის ბოლოზე აკუნტია, მხრებზე დალალებდაყრილი ტანწოლტა გოგო იყო მაშინ... მერე დიდი ჭრელი აკვანი იყიდეს ბაზარზე თეკლემ და მიხამ. იმ აკვნიდან ორმა სატაცურივით აფეთქილმა გოგომ აიდგა ფეხი, სულ ბოლოს კი ბიჭი ეყოლათ...

არც ალოობა იყო ურიგო, რომ არა ის უხსენებელი...

გოგოებმა ტანი შეიღერეს და იმ ზაფხულს სულ გადასხვაფერდა მიხას სახლისკენ მიმავალი სოფლის განაპირა ორღობე. მაინც რა უცნაურად შეიცვლება ხოლმე სოფელი ფშატის ყვავილობის ჟამს. ცხელი დღეები და სურნელით სავსე მთვარიანი ღამეები საამოდ თენთავს ადამიანებს. ჩრდილიან ორღობეებში ქალებივით დგანან თეთრთმაგაშლილი ფშატის ხეები და ჰაერს წადილით ბანგავენ...

გოგოები დათხოვდნენ. დაცარიელდა მინდორი... და მერე კიდევ ერთი ალოობა დაახსომდა მიხას... ჯერ ცარიელი იყო გზა. ჩეროებში მიტოვებულ გრძელ მერხებს, უკაცრიელ ორღობეს აცვიოდა ფშატის ყვავილის თბილი ნამქერი, მერე საიდანღაც გაჩნდნენ, ატკარცალდნენ გოგოები, ეზოდან გაახედეს ნაბოლარა ვაჟი.

მერე კიდევ ერთხელ მოვიდა ორღობეში მთვარის აყვავების ჟამი, მყუდრო მთვარედაკრული ჩეროები ქალიშვილების ცინცხალი ხმებით აივსო. ეზოში გული აღარ დაუდგა ვაჟს, მთვარეს გაეკიდა, მოტაცება მოუნდომა.

მიხას ხუმრობა ეგონა, დილით კი საკუთარი სახლის აივანზე იხილა მოტაცებული, დაჭერილი მთვარე — პატარძალს თვარელა ერქვა...

ალოობა იდგა სოფლად, მომკელს ელოდა დაპურებული თავთავი. მამა ცელით აპირებდა მინდორში გასვლას, შვილს კომბაინის საჭე ელოდა.

მეორე დილით პირველი ღვარეული მიხამ გაავლო ოქროყანას, მას კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ დარჩეული მცელავები და მალე ნაწვერალზე კოშკებივით აღიმართა ძნის სამეულები. მოდღევდა, შეფიცხდა ყანა და მხოლოდ ახლა ამოძრავდნენ ყანის მეორე ბოლოში მდგარი კომბაინები.

მცელავებმა შეიარაქათეს. ზინდნებზე ისხდნენ, ცელებს ჰკვერავდნენ და კომბაინებს დასცინოდნენ, მაგათი აღებული მოსავალი, მაგათნაირი იქნება, ხან სად გაგორდებიან, ხან სადაო.

ყანებშუა გაწელილ საურმეზე კაცი გამოჩნდა. მცელავები მიხას აუტყდნენ, გინდა თუ არა, თავი მცელავი ხარ, გაეგებე და წკიპარტი მიართვიო. რაკი აღარ მოეშვნენ, მიხამ ღვარეულიდან ერთი ბლუჯა თავთავი აიღო და გზაზე გადაუდგა მგზავრს. კაცს ფორმის ტანსაცმელი ეცვა, მგლური ნაბიჯით მოდიოდა, მცელავებზე უარესად იყო გაოფლილი...

მიხას თითქოს გულმა უგრძნო, ძირს დაუვარდა მისალოცად გაწვდილი ხელი... და იმავ წუთს მოესმა იმ კაცის ჩახრინწული ხმა... რაო, რა დაიწყოო?.. ყურებმა ხომ არ მომატყუესო, გაუკვირდა.

„ომი... ომი... ომი!" — უროსავით ურტყამდა საფეთქელში აუტანელი ტკივილი...

გონს მაშინ მოვიდა, როცა გზაზე გავიდნენ. მილიციელი კომისარიატისკენ მიუძღოდა დარჩეულ მცელავებს. კომბაინებს რომ ჩაუარეს, იქ გაიგო მიხამ, რომ შვილს გაესწრო მისთვის ფრონტისკენ მიმავალ გზაზე...

მას შემდეგ მრავალჯერ დადგა ალოობა. მრავალჯერ დაისრულეს მარცვალი თავთავებმა, მაგრამ ხელუხლებლად ეკიდა მანდალიონზე მიხა პაპას დაუანგებული ცელი. მისთვის სამუდამოდ ჩაევლო ალოობას...

„როგორ გამოიცვალა დრო, ვის რაში სჭირდები, ორი-სამი კაცი იღებს მოსავალს", — დასცინის მიხა პაპა საკუთარ თავს.

ქალიშვილები შორს არიან მისგან, შვილებით აივსნენ, მაგრამ მათი მამის კერას მაინც აკლია სიხარული, ოჯახისთვის სამამულე რქა მაინც სხვაა, გვარის გამგრძელებელია.

მიხა პაპა რძალს აბრალებდა ყველაფერს, მართალია ბიჭის დედა იყო, მაგრამ ხელი დააკლო ბავშვს და ბუიტი თავთავივით თავაღერილმა ბიჭმა აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. სკოლა ადრე მიატოვა, ხან მექანიზატორობა აიჩემა, ხან — შოფრობა, მაგრამ ვერ იქნა და ჯიგარი ვერ დაჰყარა ოჯახზე... გული უკვდებოდა მიხა პაპას და რაკი ბიჭი შორს იყო, რძალზე ბუზღუნით იოხებდა გულს, მაგან ნეტა იმდენი, მინდორში ილაჯუნოს, მეტი არაფერი ეკითხებაო...

არც რძლისგან ადგა კარგი დღე მიხა პაპას. ყოველ გაზაფხულს თვარელა თითქოს ქერქს იცვლიდა, ზამთრის ტანსაცმელს გაიძრობდა და სავსე თეძოებით თხელ კაბაში გამოკვეთილი გასათხოვარს ჰგავდა. გულზე ცეცხლი შემოენთებოდა ხოლმე მიხა პაპას, დარდით აღარ ეძინა.

ორღობეც მაცდურად მოითბობდა ხოლმე უბეს. ფშატის ხეები სირცხვილს ჰკარგავდნენ, შილიფად ჩაცმული ქალებივით მკერდგაშლილები იდგნენ ორღობეში და თავისას ეჩურჩულებოდნენ გამვლელ-გამომვლელს.

ბრიგადირი თითქმის ყოველ დილა-საღამოს ჩნდებოდა ორღობეში. მერ-

გოლურთან საქმეს მიზეზობდა და სულ სხვა ხმით ეძახდა თვარელას, თითქოს ეფერებოდა, ეხიყვარულებოდა.

ამ ძახილზე ქალი მორჩილად გადიოდა, უსმენდა ბრიგადირს და სუნთქვაავარდნილი ბრუნდებოდა ეზოში. თვალს ველარ უსწორებდა აივნიდან ეჭვით მომზირალ მამამთილს, თავის ოთახში შედიოდა, ქვეწარმავლისგან დასუნთქულივით ნირწამხდარი, ნებაწართმეული. ქმრის სურათის წინ ჩერდებოდა საკუთარ უმწეობაზე გულმოსული და ხორცებს იგლეჯდა.

მარტოობა უჭირდა თვარელას, განსაკუთრებით ფშატის ყვავილობის ჟამს უჭირდა და ამიტომაც ხშირად მიდიოდა სურათთან, შემწეობას სთხოვდა. და ის ღიმილიანი ბიჭიც, შავი ჩარჩოდან რომ დასცქეროდა, რწმენას მატებდა, აბა შენ იცი, არ დაეცეო, ამხნევებდა. თვარელაც უჯერებდა მას და არაადამიანური ჯაფით თრგუნავდა აყვავებულ სხეულს, არაქათგამოცლილი ბრუნდებოდა მინდვრიდან და მთელ ღამეს ფეხგაუქნევლად და უსიზმროდ ეძინა... და მაინც ლამაზი იყო დილაობით მიხა პაპას რძალი. მკათათვის დახატვა რომ ნდომებოდა ვინმეს, უთუოდ თვარელას დახატავდა, ხელში თავთავებიანი ძნით, ლობიოს ყვითელი ფოთლებით კაბამოხატულს, ისრიმთვალება თეძომაღალ და ჯანღონით სავსე ქალს.

მაგრამ მკათათვეში ყოველთვის უჭირს მინდორს, ამ დროს ყოველთვის იგრძნობა ქუხილიანი წვიმის ლოდინი... თვარელა აქაც ჰგავდა მკათათვეს, დაუნდობელ ხვატს მისთვისაც გაეხუნებინა წაბლისფერი თმა, ფერი წაერთმია სამუდამოდ. მის მსხვილ ნაწნავში გამორეული ჭაღარა იმის ნიშანი იყო, რომ მკათათვეს შემოდგომისაკენ გადაედგა ნაბიჯი.

თუნდაც წვიმა არ მოვიდეს, შემოდგომა გადარჩენაა, გვალვის გაძლებაა, გულის გაგრილებაა და რაც მოუსხამს, რაც შერჩენია იმაზე გულის დაჯერებაა.

მოუსხამს კი თვარელას, მაგრამ როგორი მოუსხამს, როგორი შეუნარჩუნებია, ამაზე ჯერ არ დაფიქრებულა. იმხელა ბიჭია, ბეიტი თავთავივით თავალერილმა როდემდის უნდა იაროს! როდის შევა ჭკუაში, როდის დაახრევინებს თავს ცხოვრებაზე ფიქრი, აი რა არის საკითხავი.

შინმოუსვლელი მამის სახელი — მირიანი ჰქვია. მამის კვალზე რომ წასულიყო, აგერ იმ კომბაინზე იდგებოდა, მინდვრის ბოლოდან რომ მოგელავს, კაცი ერქმეოდა და სოფელსაც ეყვარებოდა, თორემ ახლა ყველა სიბრალულით უყურებს მიხა პაპას დაძაბუნებულ სახლს.

კიბის ბოლო საფეხურზე ჩაჴუხლული ამაზევე ფიქრობს თეკლე ბაბო და ქათმებს აპურებს ცრემლმორეული.

მიხა პაპა ოღრობისკენ იხედება, ორღობე ცარიელია, მაგრამ გოგოების ტკარცალი მაინც ისმის, მერე იასამნისფერ კაბას და მხარზე დაცურებულ დალალს ხედავს და გუნებაში ეცინება, რაღაც ძალიან მოეჩვია აქეთკენ ეს გოგო. იქითაც დგანან ტანაყრილები, ფერადკაბიანები, დგანან და იცინიან.

— მიხა პაპა, აბა თუ გამოიცნობ, წინა კომბაინს ვინ მართავს? — ეძახის იასამანივით აყვავებული გოგო და ეზოში იჭყიტება.

მიხა პაპამ თვითონაც არ იცის, რა ემართება, წამოხტება და გუშინდელი ბიჭივით დაცუნცრუკობს აივანზე. ხან მოაჯირს მიაწყდება, ხან უკან იხევს, მერე თეკლეს ხედავს, ბაღის ბოლოსკენ რომ მიცუხცუხებს და ლამის დაიჯეროს.

„ნუთუ მირიანია?... მაგრამ არა, მეხუმრებიან ეს კუდიანები!“

კომბაინი თანდათან ახლოვდება.

— მირიანია, მირიანი! — ყვირიან ორღობიდან გოგოები, — ჯარიდან ჩამოსულა და კომბაინით მოდის სახლისაკენ!

მიხა პაპას სისხლი აუჩქეფდა ძარღვებში, ჯოხის ბაკუნით ჩაიარა კიბე და ყანისკენ გაექანა.

კომბაინი სულ ახლოს მოვიდა, საქცევზე გამოვიდა და საჭესთან მდგომ ფორმიანი კაცის დანახვამ უნებლიედ შეაკრთო მიხა პაპა, ის კაცი დაუდგა თვალწინ, რაიონიდან საგანგებო დავალებით მომავალი.

ფორმიანმა კაცმა საჭე მიატოვა, კომბაინიდან ისკუპა, რამდენიმე თავთავი მოგლიჯა და პაპასკენ გამოიქცა.

„ის არის ის... ჩემი მირიანი... შვილია თუ შვილიშვილი, ვერ გამირჩევია, — ლიბრიან თვალებზე ხელისგული მოიჩრდილა, — შენ გენაცვალოს პაპა!“ — ჩურჩულებდა და უცდიდა.

— მომილოცავს, მიხა პაპა, ახალი მოსავალი! — უთხრა კოპწია ჯარისკაცმა და მოეხვია.

მიხა პაპამ აცრემლებულმა გადაჰკოცნა, მერე უკან დაიხია და თავთავებზე ანიშნა:

— ვისას მილოცავ?

ჯარისკაცს გაეცინა.

— ჩემსას. ერთი სული მქონდა, მოსავლის აღებას ჩავუსწრო მეთქი. იცი, პაპა, ეს ჩემი პირველი ალოობაა! — შესცინა ჭაბუკმა. და ორღობისკენ გააპარა თვალი.

ორღობიდან გოგოების ატეხილი ტკარცალი მოესმა მიხა პაპას და მიხვდა, სოფელში ალოობა იწყებოდა, ნამდვილი ალოობა.

შვილიშვილს თავთავები გამოართვა, მაღლა ასწია, მერე თვალებში ჩაჰხედა ჭაბუკს და წყნარად უთხრა:

— ვხედავ, შვილო, მართლა მოსულა, დაპურებულა თავთავი.

შინდაბრუნებული ჯარისკაცი კომბაინისკენ გაბრუნდა და თან გაიყოლა ბერიკაცის იმედიანი ღიმილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადიდე შრომა ალალმართალი

იმ ქართველ სიტყვის ოსტატთა შორის, ვინც გამოეხმაურა ჩვენი ხალხის გმირული შრომის ასახვისათვის პარტიის მოწოდებას, ერთ-ერთი პირველთაგანია სოციალისტური შრომის გმირი, მწერალი გრიგოლ აბაშიძე. ამის დასტურია მისი ლექსების ახალი ციკლი. იგი გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“ სერიაში „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“, რომელშიც შევიდა მეტად აქტუალურ თემებზე დაწერილი ნაწარმოებები. ავტორი ცოცხლად გვისურათებს გრანდიოზული მშენებლობის ცალკეულ უბნებსა და ობიექტებს, მაგრამ მათ ფიზიკური ხატებით კი არ გვაწვდის, არამედ ადამიანთა სულიერი განცდებისა და ნიუანსების ფსიქოლოგიურად სწორად გადმოცემით. პოეტი აცხადებს;

მე მინდა ჩავწვდე
შენი სულის სიღრმეს უძიროს
და ლექსად მინდა ავამღერო
შენი გულის ხმა.

პოეტის შთაგონება ახლის შენებას გაუთბია, მისი ლირიკული გმირი ნამდვილად გრძნობს თავს თავისი ქვეყნის მოქალაქედ, სამშობლოს აძლევს მთელს თავის ძალ-ღონეს, სხვასაც აქეთკენ მოუწოდებს. პოეტი მოუწოდებს თავის კოლეგებს კალმით ასახონ ნოვატორთა და რაციონალიზატორთა, მხვნელ-მთესველთა და მშრომელ ადამიანთა გმირული ცხოვრება:

მაშ, შთაგონება ახლის შენებას,
ადიდე შრომა ალალმართალი,
ძველზე ლამაზი შეჰქმენ
მშვენება,
წიგნიც — რუსთველის წიგნის
ბადალი.

ვის არ დაუწერია რუს და ქართველ პოეტთა სულიერ ნათესაობაზე, მაგრამ გრ. აბაშიძე თავისებური სითბოთი და სიღრმით ავსებს მეგობრობის ამ ცნებას:

და გვახარებდა ეს ბედი ჩვენი
სიმღერად თქმული ჩვენი
სუფრული:
ყველა ხალხს ენა თავისი შვენის,
ყველა ენაში გალობს
ბულბული.

ლექსს „რუსეთის ველებზე“ თანამედროვე გაგება ეძლევა; თემატურად იგი წინა ლექსის გაგრძელებაა, მაგრამ იდეური ხაზი ოდნავ განსხვავებულია. თუ პირველ ლექსში ორი ხალხის მეგობრობა დანახული იყო პოეტურ სულთა ერთობით, აქ ერთმანეთთან შეთანასწორებულია ქართული მთა და რუსული ველი. მთა და ველი უერთმანეთოდ ვერ გაძლებს, ვერა! უკიდეგანო სტეპში ვეება მდინარე მოედინება. პოეტი ბრწყინვალე სახეს ქმნის:

...და მოქნეული ბალახში ცელი —
მდინარე ბრწყინავს თვალის
მოჭრელად.

ასევე ლამაზ სურათს ქმნის მთისა და ჩანჩქერების წარმოდგენა:

მე ისევ ჩემი მთა მელანდება
და ჩანჩქერების კლდეზე
ჩხრიალი.

ამრიგად, პოეტმა სახეობრივად დახატა ორი ერის რეალური გარემო, მაგრამ მისი მიზანი უფრო რთულია — გვიჩვენოს სხვადასხვაგვარ ფორმაში ის საერთო, რაც მათ აკავშირებს და მტკიცე დუღაბად ჰკრავს. სხვადასხვა იყოს სიმღერის ენა, აზრი და გრძნობა იყოს საერთო.

აღნიშნული თემატიკური რკალი გრძელდება ლექსებში „ფრაგმენტი ქართულ-რუსული ქრონიკისა“, „ტუნდრაში“, „წერილი“, „გელათი და სუზდალი“. ავტორმა განსაკუთრებით საინტერესო მხატვრული სახეებით გადაწყვიტა ორი ხალხის მეგობრობის ასახვა „გელათსა და სუზდალში“. ორივე ცნობილი ტაძარია, ორივე მათგანს სწვევია სუსხი მონღოლთა ურდოების, მაგრამ ორივე ერთნაირად გადარჩენილა და ცეცხლის წვიმაში გამოუტარებია ეროვნული დროშა, დღეს კი მომავლისაკენ მხნედ მიმავალი ორი ხალხის ძმობის უტყვ სიმბოლოდ ქცეულან.

ჩვენი სახელოვანი მწერალი გრიგოლ აბაშიძე თანამედროვე საქართველოს მშრომელ ადამიანებს პოეტური მადლით ცხებული მხატვრული სიტყვით კვლავ გაესაუბრა და ამჯერადაც დიდი სიამოვნება მოჰგვარა.

ბორის მირცხულავა



# ფოთის საზღვაო სკოლა

არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ფოთში გაიხსნა საქართველოში პირველი საზღვაოსნო სკოლა.

ახალი სკოლა აზოვ-შავი ზღვის აუზის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს უმზადებს მებადურ მატროსებს, მოტორისტებს, ელექტრიკოსებს, რეფრიჟერატორებს.

ქართველ ზღვაოსნებს სახელოვანი ტრადიციები აქვთ. მამაცი მეზღვაურები ჯერ კიდევ უძველეს დროში გადიოდნენ შორეულ ქვეყნებში სამოგზაუროდ. გასული საუკუნის დამლევს სწორედ ფოთში გაიხსნა საქართველოში პირველი საზღვაო სასწავლებელი, რომელშიც სწავლობდნენ პოლარეთის სახელგანთქმული მკვლევარი გიორგი სედოვი, საბჭოთა ფლოტის ცნობილი კაპიტანი ი. ლუხმანოვი და სხვა გამოჩენილი პირები.

ესტაფეტა ახლად გახსნილ საზღვაოსნო სკოლას გადაეცა. ამ სკოლაში 120 ჭაბუკი ეუფლება მეზღვაურის რთულ, ვაჟკაცურ და საპატიო პროფესიას.

ზღვაოსნობით გატაცებული ბიჭები ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოვიდნენ ფოთში. ზაურ გალოგრე ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთის მკვიდრია, ესტატე კანკავა ცხაკაიელია, ზურაბ ქექუთია გეგეჭკორიდან მოვიდა ფოთის სკოლაში...

ყველას ერთი სურვილი და მისწრაფება ამოძრავებს: ისწავლონ კარგად, ღრმად დაეუფლონ ზღვაოსნობის ტექნიკას, სამშობლოსათვის საჭირო და გამოსადეგი ადამიანები გახდნენ.

საქართველოს პირველ საზღვაოსნო სკოლას ყოფილი შორეული ნაოსნობის კაპიტანი პეტრე ბარამია ხელმძღვანელობს. მას მხარში უდგანან სხვა გამოცდილი პედაგოგები. ისინი თავიანთ ღრმა ცოდნას, ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რომ ღირსეული შევსება მისცენ ჩვენს თევზსარეწ ფლოტს.

გავა დრო და ფოთის საზღვაოსნო სკოლის აღზრდილები უშიშრად და საქმის ცოდნით გადასერავენ ჩვენი პლანეტის ზღვებსა და ოკეანეებს.

რობერტ მეგრელიშვილი




სერგო ედიშერაშვილის ფოტო

# საარის კვირეული

ჩვენი ქვეყნის გაცხოველებულ პოლიტიკურ კონტაქტებს სხვა სახელმწიფოებთან, პარტიის XXV ყრილობის მიერ გამოცხადებულ კურსს. მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა ურთიერთ დაახლოებისაკენ რომ არის მიმართული, თავიანთი კონკრეტული საქმეებით მხარს უბამენ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, ცხადყოფენ თუ რაოდენ დიდია ხალხთა თანამშრომლობისა და მეგობრობის სფერო, თუ კი საამისო კეთილი ნება არსებობს; ამ საქმეში უკანასკნელი სიტყვა არ უთქვამთ ხელოვნების მუშაკებს.

სწორედ ამ ნიშნით ჩაიარა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის მხარის კვირეულმა საქართველოში. ეს იყო ხელოვნების ჭეშმარიტი დღესასწაული, იმის ნათელი დემონსტრაცია, თუ რა ცხოველ ინტერესს იჩენენ ქართველი და გერმანელი ხალხები ერთმანეთის კულტურის მიმართ. ათ დღეს უკრავდა ტაშს მადლიერი მსმენელი გერმანული ხელოვნების ოსტატთა გამოსვლებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და ბიჭვინთაში.

რა ცოტა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც დაძმობილდნენ ქართული და გერმანული ქალაქები — თბილისი და საარბრუკენი. და რა ბარაქიანი მოსავალი მოიმკო ქართველი და გერმანელი ხალხების თანამშრომლობამ; ძალზე ბევრი რამ გაკეთდა დასავლეთ გერმანიასა და საქართველოში ამ ორი ხალხის სულიერი სიმდიდრისა და სილამაზის პროპაგანდისათვის.

ქართული ოპერები — „აბესალომ და ეთერი", „დაისი" და „მინდია" აჟღერდა გერმანულ სცენაზე. „ლოენგრინი" და „მფრინავი ჰოლანდიელი" — ქართულ სცენაზე. თავისთავად ამ მეტად ყურადსაღები ფაქტების მნიშვნელობა მით უფრო იზრდება, რომ მათი დადგმები განხორციელდა ქართველ და გერმანელ ხელოვანთა ურთიერთ მონაწილეობითა და თანამშრომლობით. ხოლო ის ფაქტი, რომ ერთ საღამოს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილ იქნა დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" ორ ენაზე — ქართულსა და გერმანულზე, კომენტარს აღარ საჭიროებს.

გერმანელი ხელოვნების ოსტატთა გამოსვლებმა, მათმა დასკვნითმა კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. იგი იქცა საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობისა და კეთილგანწყობის კიდევ ერთ შესანიშნავ გამოვლინებად.




საზღვაო სკოლის მოსწავლეები ზაურ გვათუა და მიხეილ გამგე-ბელი.

ვალერი სოკოლოვის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეზღვაური ზურაბ გალოგრე.



მეცადინეობაზე



მომავალი მეზღვაურები.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ყველამ რომ ასე ახაროს ნერგი...






შოთა ჩხეტიანის ფოტო





თხუთმეტი წელია რაც თბილისში, ბათუმის ქუჩაზე, „ედემის ბაღში“ მოუსვენრად ტრიალებს უშანგი დავითაშვილი, დღითი დღე ალამაზებს ბაღს. სამსახურიდან დაქანცული შინ რომ ბრუნდება, ჯერ ბაღში შევა, სათითაოდ ჩამოუვლის „თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს“ და უთუოდ ახალს ჩაიფიქრებს რაიმეს. უშანგი დავითაშვილის ბაღი ხომ მინიატურული თბილისია თავისი ქართვლის დედითა და ვახტანგ გორგასალით, ფუნიკულიორითა და ნარიყალათი, ბარათაშვილის აღმართითა და სამასი არაგველის ობელისკით. და განა მარტო თბილისი, მთელი საქართველოა აქ წარმოდგენილი. აქვეა ომში დაღუპულ გმირთა მოსაგონებლად აღმართული ბრინჯაოს ბიუსტი, რომელსაც აწერია: „დიდება შენ, სამშობლოს დამცველო!“ თითქმის მთელი ბაღი მოფენილია სამამულო ომის ამსახველი სტენდებით.

ბაღის შესასვლელშივე ყურადღებას იპყრობს სტალინის სახლ-მუზეუმის მაკეტი, დიდი გულისყურით რომ შეუსრულებია ავტორს. ამ ორიგინალურ ბაღში ყველაფერს თავისი ადგილი აქვს — ჯიხვის რქებს, კუნძებს, ნაირ-ნაირი ფორმის ქვებს და ბუნების სხვადასხვა საოცრებას, რომელიც გზაში თუ ტყეში უნახავს ბუნების მოტრფიალე კაცს.

ბაღს მეუღლისა და შვილების მზრუნველი ხელიც ატყვია — ეშველებიან საქმეში უშანგის. უშანგი დავითაშვილი № 1 მსუბუქი ტაქსის საწარმოს შოფერია, რომელსაც უამრავი საზოგადოებრივი დავალება აკისრია მას, უანგარო და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის მთავრობის მრავალი ჯილდო და სიგელი აქვს მიღებული (საქართველოს ფრიადოსანი მძღოლის წოდება, კომუნისტური შრომის დამკვრელი, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული და მრავალი სხვა).

...ახლა ზაფხულია, ყვავილებს მზისათვის გადაუშლიათ გულები და კეკლუცად უმზერენ თავიანთ ლალას, უშანგი ყველას ჩამოუვლის, სათუთად შეეხება და კიდევ ახალ ნერგს მიუმატებს ბაღს.

...სამი ვაჟკაცი და ერთი ქალიშვილი, წალკოტად ქცეული ეზო. ეს არის უშანგი დავითაშვილის საზრუნავი, მისი ავლა-დიდება.

უცქერი მას და ნატრობ: ყველამ რომ თავის ხე დარგოს ქვეყნად, ყველამ რომ ასე ახაროს ნერგი!...

ნუნუ მგელაძე

# ძველი პრესის ფურცლებიდან

[illegible] წლის ბისმარკი ბერლინის ერთ სამსჯავროში მცირე მოხელის თანამდებობაზე მსახურობდა. ერთხელ მან ერთი ბერლინელი ბრალდებულის დაკითხვაში მიიღო მონაწილეობა. ბრალდებული ძალიან მკვახე და უზრდელურ პასუხს იძლეოდა.

ბისმარკი გაბრაზდა და უთხრა:

— ილაპარაკეთ თავაზიანად, თორემ კისრის ტეხით გაგაგდებთ აქედან!

მოსამართლე იქვე იჯდა და ბისმარკს უთხრა:

— ბატონო ბისმარკო, თქვენ უფლებას აზვიადებთ, აქედან გაგდების უფლება ჩემს ხელთ არის და სხვას არავის შეუძლია!

ამის შემდეგ ბერლინელმა ისევ განაგრძო მკვახე პასუხების მიცემა. მაშინ ბისმარკი წამოდგა ფეხზე და მკვახედ შესძახა:

— თუ არ გაჩუმებულხართ, მოსამართლეს გავაგდებინებ შენს თავს აქედან კისრისტეხით!

* * *

— ბრალდებულო, მითხარით, გეთაყვა, მართალს ამბობთ?

— მართალს მოგახსენებთ, ბატონო მსაჯულო!

— თქვენი ამხანაგი რომ სხვას ამბობს?

— მჯერა, რადგან ისიც ტყუის!

* * *

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

— ერთი მითხარით, ბრალდებულო, როგორ და რამ მოგიყვანათ აქ?

— თქვენ ის მიბრძანეთ, მოსამართლევ, როგორ და რანაირად გავიდე აქედან!

* * *

ბრალდებულის ვექილი თავის კლიენტს ადარებდა ცხვარს, რომელიც დასაკვლავადაა გამზადებული, აგრეთვე ადარებდა [illegible]

თავმჯდომარე ეკითხება ბრალდებულს:

— თქვენ რაღას იტყვით?

— მე კი ბ. თავმჯდომარევ, იმას ვიტყოდი, რომ თუ გამამართლეს, მაშინ ჩემს დამცველზე შევიტან საჩივარს სასამართლოში ჩემი შეურაცხჰყოფის გამო. ამის მეტს მე ჯერ არაფერსაც არ ვიტყვი.

* * *

ერთ ქვრივს ახალგაზრდა კაცი სახლს ევაჭრებოდა.

— თუ მომყიდით, დიდად მასიამოვნებთ.

— თუ მართლა ეგრე ჰნებავთ, წინ რაღა უდგას: ჩვენ შეგვიძლია ეგ სახლი საზიაროდ ვიქონიოთო! — უთხრა ქვრივმა ახალგაზრდა კაცს, კაცს, რომელსაც გათხოვება მოსდომებოდა.

# ჯანების კარი

## „მიწისქვეშა აფთიაქები“

ჭალარა მესხეთის მიწაზე, ასპინძისაკენ მიმავალი გზატკეცილის მარჯვენა მხარეს გეოლოგები საძიებო ბურღვას აწარმოებდნენ. მოულოდნელად მიწის გულიდან ამოხეთქა წყლის ცხელმა შადრევანმა. მიდამოს გოგირდის სუნი მოეფინა. წყლის დებეტი ასეულ ათასობით ლიტრს აღწევდა დღე-ღამეში.

სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს ასპინძის წყალს გულსისხლძარღვთა, რევმატიზმის, რადიკულიტის, ნერვიული სისტემის, კანის და მრავალ სხვა დაავადებათა სამკურნალოდ. წყლის გამოყენება შესაძლებელია როგორც სასმელად, აგრეთვე აბაზანების სახით. მალე აქ მწყობრში ჩადგება მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები შეუდგნენ მომავალი კურორტის დაპროექტებას.

იშვიათია მეორე ქვეყანა, რომელიც ასე მდიდარი იყოს მრავალნაირი სახის სამკურნალო წყლებით, როგორიც საქართველოა. ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერულად შესწავლილია სამი ათასამდე სამკურნალო წყალი; გაცილებით მეტია შესასწავლი, ბევრი სამკურნალო წყალი ჯერ კიდევ გამოსავლინებელია.

წყლების მეტი რაოდენობა თბილია ან ცხელი; ისინი თავიანთი ძვირფასი სამკურნალო თვისებებით ერთგვარ მიწისქვეშა „აფთიაქებს“ წარმოადგენენ.

ბევრმა ასეთმა „აფთიაქმა“ საქვეყნო აღიარება მოიპოვა. დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს კურორტ წყალტუბოს სახელი. საბჭოთა კავშირის კურორტებს შორის ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა „საქართველოს მაცესტამ“ — კურორტმა მენჯმა, ცაიშმა, ბორჯომმა...

საქართველოს ზოგიერთ მიწისქვეშა „აფთიაქს“ განსაკუთრებული თვისებები აღმოაჩნდა.

ისტორიული უჯარმის ციხის მიდამოებში მოჩქეფს გიპერთერმული ქლორჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი წყალი. ეს ერთადერთი წყალია რესპუბლიკაში, რომელიც უხვად შეიცავს იოდსა და ბრომს, განუზომლად დიდია მისი სამკურნალო მნიშვნელობა. უჯარმა სამეცნიერო და სამკურნალო ცენტრად იქცა. აქ შეიქმნა კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორია, რომელიც სწავლობს მკურნალობის შედეგებს. მიმდინარეობს უჯარმის კეთილმოწყობილი კურორტის დაპროექტება. მალე აშენდება სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სააბაზანო კორპუსების მაღალსართულიანი შენობები. უჯარმა გვერდში ამოუდგება საკავშირო მნიშვნელობის კურორტებს.

მიწისქვეშა „აფთიაქები“ განლაგებულია მთებშიც და დაბლობებშიც. ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე მაღალ სიმაღლეზე — ზღვის დონიდან 1 800 მეტრზე მდებარეობს ე. წ. „თორღვას აბანო“, რომლის წყლის ბუნებრივი ტემპერატურა 34-36,5 გრადუსია. ზღვის დონიდან 1.100 მეტრზე ამოჩუხჩუხებს ახალციხის რაიონის სოფელ ურავლის თბილი სამკურნალო წყალი. ხობის რაიონის სოფელ ბიის თერმული წყლები ზღვის დონიდან 30 მეტრზე გამოედინება.

თერმული, გოგირდოვანი წყლებით მდიდარია თბილისი და მისი შემოგარენი. ორთაჭალის თბილი გოგირდოვანი აბანოები უძველესი დროიდან იყო განთქმული. წარსულ საუკუნეებში მას არაერთი საპატიო სტუმარი ეწვია. 1829 წელს თბილისის ერთ-ერთი აბანოს აბაზანები მიიღო დიდმა რუსმა პოეტმა ალექსანდრე პუშკინმა. ორთაჭალის ძვირფასი წყლების ბაზაზე შეიქმნა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც სამეცნიერო კვლევითი მუშაობისა და ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე დიდი კერაა.

საქართველოში ყველაზე მაღალი თერმულობით ხასიათდება ოხურეი მოქვას წყალი ოჩამჩირის რაიონში. მისი ტემპერატურაა 96 გრადუსი, ყველაზე ნორმალური — 32-35 გრადუსი ტემპერატურა აქვს წყალტუბოს სამკურნალო წყლებს, ე. ი. თითქმის იმდენი, რამდენიც ადამიანის საშუალო ტემპერატურაა.

საქართველოს მიწის გულიდან ამოჩქეფს არა მარტო სამკურნალო წყლები, არამედ ძვირფასი სამკურნალო ტალახიც. ამ ხრივ აღსანიშნავია საკავშირო მნიშვნელობის კურორტი ახტალა, რომელიც გურჯაანთან ახლოს მდებარეობს. ახტალის სანატორიუმ „ალაზანში“ სამკურნალო სეზონში ხუთი ათასამდე კაცი მკურნალობს.

მიწისქვეშა „აფთიაქები“ საიმედოდ დგანან ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში.

მზია ბიწაძე

# დემოკრატიული თაღლითობის კლასიკური ქვეყანა

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „დემოკრატია“ მხოლოდ ლიტონ ფრაზას წარმოადგენს. წარმოების კაპიტალისტური წესის ბატონობის პირობებში წარმოუდგენელია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესთა და მისწრაფებათა ერთიანობა, საზოგადოებრივი თანასწორობა, მილიონერთა და მილიონობით უმუშევართა თანასწორუფლებიანობა. ბურჟუაზიული დემოკრატიის თაღლითური ხასიათის კლასიკურ მაგალითს თანამედროვე ამერიკა წარმოადგენს.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, რომლის მიხედვით ტარდება არჩევნები და რომელიც განსაზღვრავს ამერიკის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართულებას, შეიმუშავა 55 დელეგატისაგან შემდგარმა დამფუძნებელმა კონვენტმა ქალაქ ფილადელფიაში 1787 წელს. კონვენტის მუშაობაში არ მონაწილეობდა არც ერთი ფერმერი ან მუშა. სამაგიეროდ, დელეგატთა შორის იყო 24 მევახშე, 11 ვაჭარი, 15 მონათმფლობელი. ხალხის ამ „რჩეულთა“ — მევახშეთა, ვაჭართა და მონათმფლობელთა მიერ შემუშავებული კონსტიტუცია წარმოადგენს დღესაც ამერიკის ძირითად კანონს.

არჩევნები აშშ-ში ტარდება ტერორის, მოსყიდვისა და ფალსიფიკაციის ვითარებაში. ფორმალურად ამერიკაში არსებობს ე. წ. ორპარტიული სისტემა, რომლის დროსაც ხელისუფლების სათავეში მონაცვლეობით იმყოფება ორი ბურჟუაზიული პარტია — რესპუბლიკური ან დემოკრატიული.

ამ ორ პარტიას შორის არავითარი პრინციპული პოლიტიკური განსხვავება არ არსებობს.

მიუხედავად ბრძოლის იმ ინსცენირებისა, რასაც რესპუბლიკელები და დემოკრატები გაითამაშებენ ხოლმე წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ორივე პარტია ერთგულად იცავს ამერიკის მონოპოლიების ინტერესებს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

ორივე ეს პარტია არავითარ საშუალებას არ ერიდება თავისი კანდიდატის გამარჯვებისათვის, ვინაიდან გამარჯვების შემთხვევაში ისინი ასმაგად დაიბრუნებენ იმას, რაც პრეზიდენტის არჩევა დაუჯდათ.

ამერიკული დემოკრატია მოჩვენებითია. ცნობილია, რომ თეოდორ რუზველტმა იყიდა ამერიკის პრეზიდენტობა. ამ „საქონლის“ შეძენაში მას ასეულ ათასი დოლარით დაეხმარნენ ი. მორგანი, ე. ჰარიმანი, ხხვადასხვა სადაზღვევო კომპანიები. თ. რუზველტი მასების თვალის ასახვევად, ამ კომპანიების წინააღმდეგ ვითომდა „ბრძოლას“ ეწეოდა. 1934 წელს ჰარი ტრუმენის სენატორად არჩევაში, 1944 წელს კი მის ვიცე-პრეზიდენტად არჩევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მისისიპის შტატის ქალაქ კანზას-სიტის ცნობილმა განგსტერმა, ღამის რესტორნებისა და საროსკიპოების მფლობელმა ტომ პენდერგასტმა.

იმისათვის, რომ შემცირდეს ამომრჩეველთა რაოდენობა, აშშ-ში არსებობს მრავალი სახის ცენზი და შეზღუდვა.

ამ ცენზების წყალობით, საარჩევნო უფლებით ვერ სარგებლობენ ძირითადად მშრომელები — საშუალოდ 13-15 მილიონი კაცი. თუ ამას დაუმატებთ იმ მოქალაქეებს, რომლებიც შეტანილნი არიან ამომრჩეველთა სიებში, მაგრამ ფაქტიურად არ სარგებლობენ ხმის უფლებით, მივიღებთ, რომ არჩევნებში საშუალოდ არ მონაწილეობს საარჩევნო ასაკის მოქალაქეთა 40-მდე პროცენტი.

აშშ-ში კანონის წინაშე ფორმალურად ყველა თანასწორია. მაგალითად, კანონები უმუშევარსაც და მილიონერსაც ერთნაირად უკრძალავს პარკში სკამზე ძილს, ორივეს აძლევს უფლებას ისარგებლონ ცივილიზაციის ყველა სიკეთით. როდესაც საქმე ცივილიზაციის სიკეთეზე მიდგება, მილიონერი ყოველთვის მდიდრული რესტორნით და საუკეთესო სასტუმროთი სარგებლობს, უმუშევარი კი იძულებულია სპეციალურ სასადილოში მიიღოს მათხოვრული ულუფა, სანაგვე ყუთში ეძებოს საჭმლის დამპალი ნარჩენები, დაარღვიოს პარკში სკამებზე ძილის აკრძალული კანონი. დიდი ამერიკელი მწერალი ჯეკ ლონდონი წერდა: „ამერიკა თავისუფალი ქვეყანაა, სადაც ყოველ კაცს შეუძლია სავსებით თავისუფლად ეძებდეს თავისთვის საჭმელს სანაგვე ყუთებში, ყოველ კაცს შეუძლია სავსებით თავისუფლად გაათიოს ღამე ქუჩაში, ყოველ თავისუფალ კაცს მოეპოვება შანსი სავსებით თავისუფლად მოხვდეს ელექტროსკამზე, რომ გათბეს“.

თანამედროვე ამერიკისათვის დამახასიათებელია სოციალური კონტრასტები: სიმდიდრის დაგროვება ერთ მხარეზე და სიღარიბისა — მეორეზე.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1918 წელს სტატიაში „წერილი ამერიკელ მუშებს“ მიუთითა, რომ იმ უფსკრულის სიღრმით, რომელიც არსებობს ერთი მხრივ მილიარდერებსა და მეორე მხრივ მუშებს შორის, ამერიკა ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა.

ამჟამად ამერიკაში ძირითადად გაბატონებულია საფინანსო კაპიტალის მაგნატთა 8 უდიდესი ჯგუფი. ეს მთავარი საფინანსო ჯგუფები კონტროლს უწევენ ასობით სამრეწველო, სატრანსპორტო და საფინანსო კომპანიას. მაგალითად, მორგანების საფინანსო-მონოპოლისტური ჯგუფი კონტროლს უწევს 70-მდე ბანკსა და კორპორაციას, მათ შორის ისეთ მსხვილ მონოპოლიებს, როგორიცაა „კონნეკოტ კოპპერ კორპორეიშნი“, „კონტინენტალ ოილი“ და სხვ.

ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის მაგნატები განსაკუთრებით პარაზიტულად ცხოვრობენ. მოვიყვანთ საგულისხმო მაგალითს: მილიარდერმა დეგარტიმ ერთი მეჯლისის მოწყობაზე 250 ათასი დოლარი დახარჯა. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც ამ სიმდიდრის შემქმნელები — ამერიკელი მშრომელები იძულებულნი არიან მთელი თავიანთი სიცოცხლე სიღატაკესა და გაჭირვებაში გაატარონ.

შიმშილით დაუძლურებული მილიონობით უმუშევარი ამერიკული „დემოკრატიის“ თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს.

დღითი დღე უარესდება სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანთა მდგომარეობა, რაც გამოწვეულია ინფლაციითა და კრიზისით. ამერიკული სინამდვილე, ყბადაღებული „ამერიკული ცხოვრების წესი“ აიძულებს რიგით ადამიანებს სხეულის ამა თუ იმ ნაწილითაც კი ივაჭრონ. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის წვრილმა ფერმერმა ფრედ ჰარტინგმა, რომლის პატარა მეურნეობა გამოუვალ ვალებში ჩაეფლო, ამას წინათ გაზეთში მოათავსა განცხადება, რომ მზად არის გაყიდოს მხედველობის დაუზიანებელი ორგანო — თვალი.

აშშ-ში ცხოვრების მრავალ სფეროში იგრძნობა ქალის არათანასწორუფლებიანობა. ამერიკული ყბადაღებული „დემოკრატია“ დამქირავებელს საშუალებას აძლევს ერთსა და იმავე სამუშაოში ქალს შედარებით ნაკლები ხელფასი მისცეს, ვიდრე მამაკაცს. შეგვიძლია ასეთი მაგალითიც მოვიყვანოთ: ალაბამის შტატში კანონი ქმარს ნებას აძლევს ჯოხით სცემოს „დამნაშავე“ ცოლი. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ იგივე კანონი ცდილობს ერთგვარად „დაიცვას“ დამნაშავე ცოლი: კანონი მოითხოვს, რომ ჯოხის დიამეტრი არ უნდა იყოს... ორ თითზე უფრო მსხვილი.

თანამედროვე ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე სამარცხვინო მოვლენას ზანგი მოსახლეობის რასობრივი დისკრიმინაცია წარმოადგენს.

ამერიკაში ფართოდ ახორციელებენ ზანგთა სეგრეგაციას. ქვეყნის 29 შტატში კანონი კრძალავს თეთრკანიანისა და ზანგის ქორწინებას; 14 შტატში ხორციელდება თეთრი მოსახლეობისაგან ზანგების იზოლაცია რკინიგზებზე; 11 შტატში ზანგებისათვის სპეციალურად გამოყოფილია ადგილები ავტობუსებში, 10 შტატში — ტრამვაიში... აშშ-ში დღემდე ძალაშია ზანგთა დაკნინება. უკანასკნელი ცნობებით, სამხრეთის 11 შტატში ზანგი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს ყველა არჩევითი თანამდებობის მხოლოდ 2,5 პროცენტი უკავიათ, თუმცაღა ზანგები ამ შტატების მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტს შეადგენენ.

ზანგის დისკრიმინაცია ამერიკაში სიკვდილის შემდეგაც გრძელდება: მთელ რიგ შტატებში აკრძალულია ზანგი მიცვალებულის დაკრძალვა თეთრებისათვის განკუთვნილ სასაფლაოზე.

ამერიკული დემოკრატიის ანტიხალხური არსის გამოხატულებას წარმოადგენს ისეთი რეაქციული დაწესებულებები, როგორიცაა ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისია, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, გამოძიების ფედერალური ბიურო.

ამერიკის რეაქციის პოლიტიკური ტერორი უპირველეს ყოვლისა მიმართულია მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. მაგრამ ქვეყანაში შიშისა და მხეცური რეაქციის ატმოსფეროს შექმნის მიუხედავად, ამერიკის მთავრობა ვერ შეძლებს დემოკრატიის ყალბი საფარით ხანგრძლივად იყოლიოს ხალხი მორჩილებაში. ამერიკელი ხალხის დიდი შვილი ა. ლინკოლნი ამბობდა: „შეიძლება მოატყუო ზოგი მუდმივად, შეიძლება მოატყუო ყველა რამდენიმე ხნის განმავლობაში, მაგრამ შეუძლებელია მუდმივად მოატყუო მთელი ხალხი“. ჭეშმარიტად, ვერავინ შესძლებს მუდმივად ამერიკელი ხალხის მოტყუებას! მშრომელი ადამიანებისათვის სულ უფრო ცხადი ხდება ამერიკული დემოკრატიის ყალბი, მოჩვენებითი ხასიათი. იზრდება ამერიკელი ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი, ნამდვილი დემოკრატიისადმი; იზრდება ხალხის ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ, ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიუხედავად კრიზისებისა და უმუშევრობისა, ამერიკაში არნახულად გაიზარდა გაფიცვების ტალღა. გასული წლის მარტო 9 თვეში ოფიციალური სტატისტიკის მიერ რეგისტრირებულია 4,5 ათასი გაფიცვა. გაფიცვების რიცხვისა და მონაწილეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად სულ უფრო იზრდება მათი ინტენსივობა.

სიღატაკისა და გადასახადების განუხრელი ზრდა, უმუშევართა მზარდი რაოდენობა, რასობრივი სეგრეგაცია და დისკრიმინაცია, ანტიხალხური, ფაშისტური ორგანიზაციების პარპაში და ხალხის სამართლიანი მისწრაფებების ფეხქვეშ გათელვა — აი არასრული სურათი „დემოკრატიისა“ ამერიკული გაგებით.

შოთა აფრიდონიძე

# ფიგურისტები და პირუეტები


ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე ცერცვაძე.

ირაკლი ჯაფარიძემ ფიგურულ სრიალში ვარჯიში თერთმეტი წლისამ დაიწყო მოსკოველი სპეციალისტის ედუარდ პლინერის ხელმძღვანელობით. ერთი წლის შემდეგ იგი უკვე საქართველოს ჩემპიონია. მას შემდეგ მან შვიდჯერ მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონობა, ხოლო 1963 წელს მოსკოვში გამართულ მოზარდთა საკავშირო ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა. ეს უკვე სენსაცია იყო. შემდეგ ირაკლი ჯაფარიძემ კიდევ მრავალ დიდ წარმატებას მიაღწია საკავშირო სარბიელზე. ამ წარმატებებს ირაკლი აღწევდა ძლიერ მეტოქეებთან — იური ოვჩინიკოვთან, სერგეი ვოლკოვთან, სერგეი ჩეტვერუხინთან. მიღწევებზე არანაკლებ საინტერესო ის არის, თუ რა პირობებში უხდებოდათ ახალგაზრდა სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს მუშაობა იმხანად. ალბათ, ყველას კარგად მოეხსენება, რომ ჩვენში ფიგურული სრიალის სკოლის შენობა 1964 წელს აშენდა. მანამდე კი სპორტის ამ სახეობის მიმდევარნი ბაკურიანში ვარჯიშობდნენ ღია ცის ქვეშ ბუნებრივ საციგურაოზე — ყინვაში, თოვლში, ქარბუქში, თვეობით მოწყვეტილნი ოჯახს, მშობლებს, ტოლ-ამხანაგებს. მაგრამ მიუხედავად ამ სიძნელეებისა, საქართველოს ფიგურისტებმა ბევრ სასახელო გამარჯვებას მიაღწიეს და ღირსეულად დაიმკვიდრეს მოწინავეთა ადგილი.

1968 წლიდან ირაკლი ჯაფარიძემ მწვრთნელად დაიწყო მუშაობა იმავე სკოლაში, სადაც თვითონ სწავლობდა. მისმა მოწაფეებმა სპორტის ოსტატებმა მარინე ცერცვაძემ, ლია გაბელაიამ, მიხეილ სიხარულიძემ (1972 წლიდან მოყოლებული) საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს.

მარინე ცერცვაძე ჩვიდმეტი წლისაა, იგი საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელი, საკავშირო ნაკრების წევრია, საბჭოთა ფიგურისტ ქალებში პირველად მან შეასრულა სამმაგი ბრუნი — ფიგურული სრიალის ერთ-ერთი უძნელესი ილეთი. მარინე ახალგაზრდათა საკავშირო პირველობის ჩემპიონი და პრიზიორია. ასევე წარმატებით მონაწილეობს იგი საერთაშორისო სარბიელზე. 1973 წელს საქართველოს ფიგურული სრიალის ოსტატებიდან მას პირველს მიენიჭა სპორტის ოსტატის საპატიო წოდება.

ლია გაბელაიაც მარინეს ტოლია. 1972 წლიდან მრავალ საკავშირო ახალგაზრდულ პირველობათა ჩემპიონი და პრიზიორია. 1975 წელს საკავშირო თასის გათამაშებაში ლიამ ვერცხლის მედალი მოიპოვა. იმავე წელს იუგოსლავიაში „ოქროს პირუეტის“ პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა, 1974 წლიდან იგი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატია.

მიხეილ სიხარულიძეც 17 წლისაა. შარშან საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა ჭაბუკთა შორის და საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს. იგი სპორტის ოსტატია.

ეს არ არის ირაკლი ჯაფარიძის აღზრდილთა სრული სია. 1972 წლიდან მოყოლებული ზემოხსენებული სამი სპორტსმენის გარდა, კიდევ ოთხი — ონისე რუხაძე, სესილი ბერძენიშვილი, ინგა ბუთიკაშვილი და გია შანყულაშვილი შედიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაკრების შემადგენლობაში.

ამ ოთხეულიდან ყველაზე დიდ წარმატებას გია შანყულაშვილმა მიაღწია, რომელმაც სულ ორი-სამი თვის წინათ ჩეხოსლოვაკიაში გამართულ „მეგობრობის თასზე“ მეორე ადგილი დაიკავა ჭაბუკთა შორის და ამ შეჯიბრების შემდეგ ჭაბუკთა საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს.

1974 წელს ირაკლი ჯაფარიძე ერთი თვით ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გავირჟოვში მიავლინეს საბჭოთა გოგონების ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ მარინე ცერცვაძე, ლია გაბელაია, ნატაშა სტრელკოვა და რიმა კისლიკოვა.

ირაკლი ჯაფარიძეს, როგორც ყველა სპორტსმენს, ჰყავს თავისი იდეალი სპორტში; ყველა დროის საუკეთესო ფიგურისტი ქალებიდან მას ამერიკელი პეგი ფლემინგი მიაჩნია, ვაჟებიდან კი — კანადელი დონალდ ჯეკსონი. ამჟამად მოქმედი სპორტსმენი გოგონებიდან ირაკლის ყველაზე მეტად ამერიკელი დოროტიხ ემილი მოსწონს, ხოლო ვაჟებიდან — კანადელი ტოდერ კრენსტონი. მას თავისი საყვარელი მწვრთნელიც კი ჰყავს, ესაა ცნობილი საბჭოთა სპეციალისტი სტანისლავ ჟუკი.

...ირაკლი ჯაფარიძე ფიგურული სრიალის სკოლაშია — ჯგუფს ავარჯიშებს, ყველაზე მეტ ყურადღებას მწვრთნელი მარინე ცერცვაძეს უთმობს, მარინე ჰელსინკისათვის ემზადება, ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. საბჭოთა ნაკრებში ქალებისათვის ორი ადგილია განკუთვნილი, კანდიდატი კი სამია — მარინე, მოსკოველი ელენე ვოდორეზოვა, ლენინგრადელი ნატაშა სტრელკოვა. მწვრთნელი და მისი მოწაფე ყველაფერს აკეთებენ, რათა ჰელსინკში გამგზავრების უფლება მოიპოვონ.

გვჯერა, რომ სახელოვანი სპორტსმენი და მისი მწვრთნელი საწადელს მიაღწევენ.

დათო ჭელიძე



ირაკლი ჯაფარიძე.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# თითქმის დაუჯერებელი

თითქმის დაუჯერებელი!

✦

1910 წელს ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში გაიხსნა პირველი აფთიაქი „საქართველო“.

აფთიაქი დაარსა ქართველმა ექიმმა პეტრე მერაბიშვილმა, რომელიც ეთიოპიის იმპერატორმა ადის-აბებაში თავის მკურნალად მიიწვია პარიზიდან.

✦

ინგლისში საკუთარი სახლის ყოველ მფლობელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

უცოლშვილო ინგლისელმა რობი სმიტმა მთელი თავისი ქონება და საცხოვრებელი სახლი, ნოტარიალური წესით, მემკვიდრეობად დაუტოვა... თავის საყვარელ კატებს.

✦

აიოვას შტატის ქალაქ ფრონტ-მედისონში (აშშ) დღემდე მოქმედებს კანონი, რომლის მიხედვით მეხანძრეებს უფლება არა აქვთ ცეცხლის ჩაქრობა დაიწყონ მანამდე, ვიდრე ხანძრის წინ გულმოდგინედ არ ჩაატარებენ... თხუთმეტწუთიან წვრთნას.

✦

ტაივანში არის კურორტი ბეიტოუ, რომელსაც „აზიის სექსუალურ დედაქალაქს“ ეძახიან. კურორტზე 63 კეთილმოწყობილი სასტუმროა. ბეიტოუში ჩამოსულ ტურისტებს მომსახურებას უწევენ მსუბუქი ყოფაქცევის ახალგაზრდა ქალები, რომლებსაც მეძაობის ოფიციალური ლიცენზიები აქვთ.

✦

დასავლეთ გერმანიის პატარა ქალაქ სპრინგეში ძეგლი აუგეს... ელექტრონათურას.

ქალაქის მცხოვრებნი ირწმუნებიან, რომ ედისონზე 25 წლით ადრე, პირველი ელექტრონათურა მათმა თანამოქალაქე ჰენრიხ გებელმა დაამზადა.

✦

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ როიალ-სიტში მცხოვრები დენსალინასი მუშაობს პოლიციელად, საგზაო ოსტატად, სახანძრო დაცვის კომენდატის მოადგილედ, საგზაო ნიშნების დამდგმელად, ჰიდროტექნიკოსად, მებაღედ, უპატრონო ძაღლების დამჭერად და მესაფლავედ.

✦

ლიონში მცხოვრებმა ფრანგმა ინჟინერმა ჟან ლაბონმა სამჯერ გაიმარჯვა საერთაშორისო გამოფენებზე.

ამ გამოფენებზე ლაბონმა წარადგინა მის მიერ წლების მანძილზე შეგროვებული ხუთასზე მეტი ჩიტის გალია.

✦

ავსტრალიელმა პროფესორმა კლიფტონ მაკდონალდმა ხანგრძლივი ცდებით დაამტკიცა, რომ ჯაზური მუსიკა ზვიგენებში პანიკურ შიშს იწვევს.

ზვიგენები დიდი სიამოვნებით ისმენენ კლასიკურ მუსიკას. მათ, მაგალითად, ძალიან მოსწონთ ბახისა და ბრამსის მუსიკა.

✦

სტოკჰოლმის ერთ-ერთი უნივერმაღი სოლიდურ თანხას უხდის ვინმე ლარს ანგსტრომს, რომლის მოვალეობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ უნივერმაღის წინ საგანგებოდ მიგზავნილ ქალს შესძახოს: „ოხ, რა მშვენიერი პალტო გაცვიათ!“

ლამაზი გარეგნობისა და მდიდრულად ჩაცმული ლარს ანგსტრომის ასეთი შეძახილი დიდ რეკლამას იწვევს: მოდის მიმდევარი ქალები უნივერმაღში შერბიან და მაშინვე ყიდულობენ რეკლამირებულ პალტოს.

✦

ამას წინათ ციურიხის ერთ-ერთ ქუჩაზე შეუძლოდ იგრძნო თავი მოხუცმა კაცმა, რომელიც მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს.

ღარიბულად ჩაცმულ ავადმყოფს კოსტიუმის ჯიბეში აღმოაჩნდა ბაჯაღლო ოქროს სამი ვეებერთელა სხმული, ოთხმოცი ათასი შვეიცარული ფრანკი, თექვსმეტი ათასი ამერიკული დოლარი...

მოხუცი, როგორც დადგინდა, ბანკის ყოფილი მუშაკია. ახლა გულმოდგინედ იკვლევენ, საიდან აქვს მას ამდენი თანხა და ოქრო.

✦

წინათ, როცა ადამიანი ძირითადად მაგარ საჭმელს ჭამდა, აუცილებელი იყო 32 კბილი; ახლა ცივილიზებული ადამიანი რბილ, ადვილად დასაღეჭ საკვებს იღებს და მისთვის სავსებით საკმარისია 20 კბილი. ზედმეტი კბილები ბავშვობიდანვე უნდა მოვიცილოთ, რომ დარჩენილმა კბილებმა თავისუფლად შეძლონ განვითარება.

აი, ასეთია ცნობილი ინგლისელი სტომატოლოგის — დოქტორ ტეიტის შეხედულება.

✦

ინგლისში დაამზადეს გამჭვირვალე კარი, რომელსაც ბინის შესასვლელში ჰკიდებენ.

ოთახში მყოფი ადამიანი კარგად ხედავს, რაც კარის იქით ხდება, გარედან კი ოთახში რაიმეს დანახვა შეუძლებელია.

# ავტორი მაყურებლის სიცოცხლეში

## იუმორისტული მოთხრობა

კვარტალური ბალანსის ვადაზე ადრე ჩაბარებისათვის ადმინისტრაციამ საანგარიშო მოწყობილობით, ცნობილი ინგლისელი ბუღალტრის ჯეკ ჯეფერსონის ფერადი ფოტოსურათითა და თეატრის. ორი ბილეთით დამაჯილდოვა. რვის ნახევარზე მე და ჩემი თმაშეღებილი სიდედრი თეატრისაკენ გავეშურეთ (მეუღლე წნორში იყო წასული, პირველი ქმრის წლისთავზე). იმ საღამოს თურმე მეასედ გადიოდა დრამატურგ მუზა რეხვიაშვილის ხუთმოქმედებიანი კომედია „უხაშლამო ქელეხი“. თითქმის ცარიელ დარბაზში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მესამე რიგში მჯდომმა თმაშევერცხლილმა მამაკაცმა, რომელსაც წითელი მიხაკების თაიგული ეჭირა. ჩემმა სიდედრმა გულმოდგინედ შეათვალიერა უცნობი მამაკაცი და ყურში ჩამჩურჩულა:

— პირწავარდნილი დონ ჟუანია, ბეჭებზე ეტყობა, ბევრი ქალიშვილის ცოდვა აწევს კისერზე.

უცნობის მიმართ შურით აღვივსე და სიდედრს ჩიზღით შევეკითხე:

— თქვენ საიდან იცით, ანა სერგეევნა?

— განა ტყუილად დავამთავრე მებაღეობის ფაკულტეტი? — სიდედრმა ჩაახველა და ხელჩანთიდან ჟორას ნაჩუქარი ლორნეტი ამოიღო.

ჯერ ათიოდე წუთიც არ იყო გასული პირველ მოქმედების დაწყებიდან, რომ დონ ჟუანმა თაიგული მუხლებზე დაიდო, სავარძელში ჩაცურდა, პროგრამა თავქვეშ ამოიდო და მკვდარივით ჩაეძინა.

ხუთი მოქმედება ისე მიიწურა, რომ ჩაძინებულ უცნობს წარბი არ შეუხრია.

წარმოდგენა დამთავრდა. ის იყო მაყურებლებმა კარებისაკენ იბრუნეს პირი, რომ პირწავარდნილმა დონ ჟუანმა თვალები გაახილა, ჩიკორივით წამოხტა და ხავერდოვანი ბარიტონით შეჰყვირა:

— ავტორი სცენაზე!

მუზა რეხვიაშვილი ძალით გამოიყვანეს ავანსცენაზე.

დონ ჟუანმა თაიგული დრამატურგს ესროლა და „ბრავო! ბრავისიმო!“ დასცხო.

დრამატურგი გულთბილ მადლობას უხდიდა ერთადერთ თაყვანისმცემელს, თვალზე მომდგარ სიხარულის ცრემლს იწმენდდა და სალოკი და არათითით რაღაცას ანიშნებდა უცნობს.

ცნობისმოყვარეობა ვეღარ დავიოკე, პირწავარდნილ დონ ჟუანს მივუახლოვდი და ყოველგვარ მორიდების გარეშე ვკითხე:

— მაესტრო, ასე გაცხარებული რატომ უკრავთ ტაშს, წარმოდგენის დროს რატომ გეძინათ და დრამატურგმა რატომ დაგანახათ სალოკი და არათითი?

უცნობმა ჯიბიდან ამერიკული საღეჭი რეზინი ამოიღო, სამად გაანაწილა, ერთი მესამედი ჩემს აწითლებულ სიდედრს გაუწოდა, ორი მესამედი თვითონ ჩაიდო პირში და დინჯი ტონით დაიწყო:

— დღეს სამი ბედნიერება მხვდა წილად: პირველი ის გახლავთ, რომ „უხაშლამო ქელეხს“ მეასედ დავესწარი, მეორე ის გახლავთ, რომ დრამატურგმა მუზა რეხვიაშვილმა მანიშნა, მალე ჩემს ორ ახალ პიესას დადგამენო, მესამე და მთავარი კი ის არის, რომ ოცდაექვსი წლის შემდეგ ანა სერგეევნას ისევ შევხვდი.

პირწავარდნილმა დონ ჟუანმა ჩემს კიდევ უფრო აწითლებულ სიდედრს თვალი ჩაუკრა და მშვიდი ხმით თქვა:

— მომისმინეთ, ახლავე მოგიყვებით ყველაფერს. ამ სამიოდე წლის წინ, წითელ ხიდთან წითელი ხიზილალით მოვიწამლე. ახალბედა ქირურგმა შეცდომით ბრმა ნაწლავის ოპერაცია გამიკეთა. კიდევ კარგი, რომ თირკმელები არ ამომაჭრა და უჭაჭოდ არ დამტოვა. უჭაჭოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია! სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩემი დრამატიული ტრაგედია და უძილობა დამჩემდა. ვინ მოთვლის, სად არ ვიყავი, ვისთან არ ვიმკურნალე, სად არ ვეთრიე, რამდენი სედუქსენი და ბარბიტალი არ დავლიე, მაგრამ ამაოდ, არაფერმა არ მიშველა! დღეებს შავად ვაღამებდი და ღამეებს თეთრად ვათენებდი. დავიტანჯე კაცი, სიკვდილი სანატრელი გამიხდა. როცა იმედი გადამეწურა და ჩემს უძილო სიცოცხლეს აღარაფერი შველოდა, გადავწყვიტე თავი მომეკლა. ბინის ქირა გადავიხადე, ტორშერი, ტელევიზორი, სამპროცენტიანი ობლიგაციები და ვერცხლის კოვზები შეძლებულ ნათესავებს დავურიგე, წვრილმანი საოჯახო ნივთები — მაყალი, გიტარა, ქვაბები, გლობუსი და ქაფქირი ხელმოკლე ახლობლებს დავუტოვე სახსოვრად. როცა ყველაფერი გავანაწილე და აღარაფერი დამრჩა გასანაწილებელი, სანაპიროსაკენ გავეშურე. ის იყო ხიდიდან მტკვარში უნდა გადავმხტარიყავი, რომ ჩემი ბავშვობის მეგობარი მუზა რეხვიაშვილი დავინახე. მუზამ ჯიბიდან თეატრის ბილეთი ამოაცოცა და მთხოვა მისი პიესის პრემიერას დავსწრებოდი. უარი ვერ შევბედე. თავის დახრჩობა წარმოდგენის დამთავრების შემდეგ გადავდე და თეატრში წავედი. მოხდა გაუგონარი სასწაული! იმ საღამოს სამი წლის მანძილზე პირველად ჩამეძინა თეატრში. ღმერთმა უშველოს დრამატურგ მუზა რეხვიაშვილს, მეგობარიც ასეთი უნდა! იმ დღიდან მოყოლებული, კვირაში ერთხელ, როცა „უხაშლამო ქელეხი“ გადის, ყოველთვის დავდივარ თეატრში და გემრიელად ვიძინებ. დღეს მეასედ მეძინა. აი, ასეთი პიესები ხშირად რომ იდგმებოდეს თეატრებში, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა! — წარმოსთქვა უცნობმა და ჩემს სიდედრს მეორედ ჩაუკრა თვალი.

**თენგიზ პირველი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტული ამბები

## „კოსმოსის ფავორიტები“

„ლაციოს“ ცენტრალური თავდამსხმელი ჯორჯ კინალია ამერიკაშია; იგი ითამაშებს „შავი მარგალიტის“ — პელეს გვერდით.

ჯორჯ კინალია 1966-67 წლის საფეხბურთო სეზონიდან თამაშობს მისი დებიუტი „ა“ ჯგუფის გუნდში 1969 წლის 21 სექტემბერს შედგა.

ათი წლის მანძილზე მან 127 გოლი გაიტანა. ამბობენ: კინალიას თავის გუნდში გოლებზე მეტი ბრძოლები და შეხლა-შემოხლა აქვს გადატანილი. ამერიკაში გამგზავრების წინ ჟურნალისტებთან ინტერვიუში კინალიამ განაცხადა, რომ თავის გუნდს ის ველარაფერს შესძენს. ამ გუნდში, მას ნერვები დააწყვიტეს, დღე-ღამეში მხოლოდ სამი საათი ძინავს, ამიტომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ამერიკაში წავიდეს და „კოსმოსის“ გუნდში ითამაშოს.

მისი ამერიკაში წასვლის ერთ-ერთი მიზეზია — კონი (მეუღლე), რომელიც წარმოშობით ამერიკელია. ქალბატონი კინალია ოცდაცხრა წლისაა, მას დიდი სურვილი ჰქონდა ამერიკაში დაბრუნებულიყო.

და აი, „კოსმოსში“ კინალიას დებიუტი შედგა, მან დიდი სენსაცია გამოიწვია — პელესთან ერთად ლამაზად გათამაშებული კომბინაციით ორი გოლი გაიტანა.



ჯორჯ კინალია და პელე

## მუჰამედ ალი „მრავალ ფრონტზე“

ამას წინათ ჟურნალისტებმა რამდენიმე შეკითხვა მისცეს მსოფლიოს ჩემპიონს მძიმე წონაში მუჰამედ ალის (კასიუს კლეი). შეკითხვაზე მიიღებს თუ არა ოდესმე მონაწილეობას არჩევნებში თავის სამშობლოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალიმ უპასუხა, რომ ამ არჩევნებში არასოდეს მიიღებს მონაწილეობას. „მე ცირკის წინააღმდეგი არა ვარ. მაგრამ პროფესიულ ცირკს ვამჯობინებ“

კითხვაზე, რომელია მისი საყვარელი წიგნი, ალიმ დასახელა... საკუთარი ავტობიოგრაფია, რომელსაც თავისებური სათაური „მე უდიდესი“ ჰქვია.

ალიმ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ლონდონის აეროპორტ ჰიტროუში მებაჟეებმა მის პირად მცველს დამბაჩა წაართვეს. „რამდენადაც მე ვიცი, — განაცხადა ჩემპიონმა. — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ათობით პირადი მცველი ჰყავს, მაგრამ მათ არასოდეს არავინ ჩხრეკავს. ეს მაშინ, როდესაც მე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შედარებით უფრო სახელოვანი და პოპულარული ვარ“.

კორესპონდენტების შეკითხვაზე ალიმ განაცხადა, რომ თავისი პროფესიული გამოსვლების მანძილზე ჰონორარის სახით მიიღო 31 მილიონი დოლარი, მაგრამ მისი უდიდესი ნაწილი საგადასახადო უწყების კუთვნილება გახდა. ალიმ თქვა, რომ მისაღები აქვს 29 მილიონი დოლარი, ამის შემდეგ იგი მიატოვებს რინგს. თავის უახლოეს მეტოქეებს შორის მან დაასახელა ამერიკელი მოკრივეები ნორტონი და მსოფლიოს ექსჩემპიონი ფორმენი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნორტონმა ერთხელ ალი დაამარცხა კიდეც (ყბა ჩაუმტვრია), მეორეჯერ კი ალიმ რევანში აიღო.

# ფეხბურთის მოყვარულთათვის

...ფეხბურთში საკავშირო მსაჯთა პირველი შეკრება გაიმართა თბილისში, 1938 წელს.

...პირველი ფეხბურთელი, რომელმაც შეძლო მოწინააღმდეგის კარში 100 ბურთის გატანა, გრიგოლ ფედოტოვი (ცდკა) იყო.

...საბჭოთა კავშირის პირველობაზე ყველაზე მეტი გოლები გაიტანეს 1940 წელს მოსკოვის „დინამოს“ და კიევის „დინამოს“ მატჩში.

ამ გუნდებს შორის თამაში დამთავრდა ანგარიშით 8:5.

...1948 წელს თბილისის „დინამომ“ ანგარიშით 9:2 დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი“.

1956 წელს მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ანგარიშით 9:2 დაამარცხა თბილისსი „დინამო“.

...1948 წელს განუმეორებელი რეკორდი დაამყარა მოსკოვის „დინამოს“ მოთამაშემ სერგეი სოლოვიოვმა, რომელმაც 2 წუთის განმავლობაში 3 ბურთი გაიტანა მოსკოვის „ტორპედოს“ კარში.

...დღემდე მოუხსნელი რეკორდი აქვს დამყარებული აგრეთვე თბილისის „დინამოს“ ყოფილ თავდამსხმელს ილია დათუნაშვილს.

ერევნის „არარატთან“ მატჩის დროს ილია დათუნაშვილმა მეორე ტაიმში 5 ბურთი გაიტანა.

...1963 საფეხბურთო წელი სარეკორდო შედეგით დაამთავრა საქვეყნოდ სახელგანთქმულმა მეკარემ ლევ იაშინმა.

მთელი სეზონის მანძილზე მან მხოლოდ 6 ბურთი გაუშვა კარში.

...ამჟამად მსოფლიოში 10 მილიონი ოფიციალური ფეხბურთელია.

საბჭოთა კავშირში დღეისათვის 2 მილიონი სპორტსმენი თამაშობს ფეხბურთს.

...საათ-ნახევრის განმავლობაში ფეხბურთელები მოედანზე გარბიან დაახლოებით 12 კილომეტრს.

სპეციალური აპარატით დაზუსტდა, რომ ძლიერი დარტყმის შემდეგ, ბურთი საათში ანვითარებს დაახლოებით 85 კილომეტრ სიჩქარეს.

...1936 წლიდან 1960 წლამდე ფეხბურთში ყოველთვის მოსკოვის გუნდები იყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები.

ეს ტრადიცია კიეველებმა დაარღვიეს. 1961 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა კიევის „დინამო“.

1964 წელს ჩემპიონის ტიტული ქართველმა ფეხბურთელებმა დაისაკუთრეს.

...1912 წელს პირველად დაიწყო ფეხბურთში რუსეთის პირველობის გათამაშება.

...1923 წელს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი სკანდინავიის ქვეყნებში გაემგზავრა. ცამეტი შეხვედრიდან ჩვენმა ფეხბურთელებმა მოიგეს თერთმეტი თამაში, ორი მატჩი კი ფრედ დაამთავრეს.

...ფეხბურთის პოპულარული მარშის ავტორია კომპოზიტორი მ. ბლანტერი.

...ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ საგანგებო შესწავლით დაადგინა, რომ ყოველ მატჩში ფეხბურთელი მთელი დატვირთვით საშუალოდ 51 წუთსა და 47 წამს თამაშობს. თამაშის დანარჩენი დრო მიაქვს მინდვრიდან გადავარდნილი ბურთის შემოტანას, ჯარიმებს, მეკარის მიერ ბურთის შეგნებულად დაკავებას, დაშავებული ფეხბურთელის გამო თამაშის შეჩერებას და სხვადასხვა შეფერხებებს.

# პოეტის საჭადრაკო ამოცანა



როგორც ცნობილია, მწერლების ცხოვრებაში ჭადრაკს დიდი ადგილი უჭირავს.

ჭადრაკი გატაცებით უყვარდა ლევ ტოლსტოის; ისტორიამ, როგორც ძვირფასი რელიკვია, შემოგვინახა მის მიერ ნათამაშევი რამდენიმე პარტიის ჩანაწერი.

დიდი რუსი მწერალი ი. ტურგენევი თავისი დროის ოსტატებსაც კი ეპაექრებოდა და არცთუ წარუმატებლად. პარიზში ი. ტურგენევს „კუს რაინდი“ შეარქვეს (გადმოცემის თანახმად, იგი მეტად ძლიერად თამაშობდა ამ ფიგურით).

დიდი ილია და აკაკი უაღრესი პატივისცემით ეკიდებოდნენ ჭადრაკს. ილია „ივერიაში“ გასული საუკუნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საჭადრაკო მოვლენის შესახებ აქვეყნებდა მასალებს.

ჩვენი საყვარელი მწერლები ლეო ქიაჩელი და აკაკი ბელიაშვილი თავდავიწყებული მოჭადრაკეები იყვნენ. საქართველოს მწერალთა კავშირში დღესაც ბევრი სიტყვის ოსტატია, ვინც კაისას მუზასაც უხდის ხარკს.

მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა ბევრი შეიძლება, მაგრამ ნაკლებად ცნობილია მწერალი თუ პოეტი, რომელსაც საჭადრაკო ეტიუდი ან ამოცანა შეეთხზას (ცხადია, არ ვგულისხმობთ ფანტასტიკური რომანების ავტორს მწერალ ალექსანდრე კაზანცევს, ცნობილ საჭადრაკო კომპოზიტორს); უნიკალური გამონაკლისი გახლავთ გამოჩენილი ფრანგი პოეტი ალფრედ დე მიუსე. ის მიუსე, რომელსაც უკვდავმა გალაკტიონმა შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა.

მინიატურული, ლამაზი და ეფექტური ამოცანა ამოსახსნელად არც ისე ძნელია — თითქმის ცარიელ დაფაზე ორი მხედრით შამათის გამოცხადება ხშირი როდია ჭადრაკში. მის ავტორობაზე არც ერთი პროფესიონალი საჭადრაკო კომპოზიტორი არ იტყოდა უარს.

ვფიქრობთ, „დროშის“ მკითხველები სიამოვნებით ამოხსნიან ალფრედ დე მიუსეს ამოცანას. თეთრები იწყებენ და შამათს სამ სვლაში აკეთებენ.

გივი ძინძიბაძე

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა




ვერტიკალურად: 1. მოკლე ხაზი. 3. საჰაერო სივრცე. 4. საზეთი ნივთიერება. 5. ფერადი ლითონი. 6. განცხადება ახალი სპექტაკლის შესახებ. 10. სპეციალისტი. 11. მედიცინის დარგი. 13. სპორტში სიჩქარის მკვეთრად გადიდება. 14. ქიმიური ელემენტი. 15. სახელმწიფო აზიაში. 17. მიმღები და დასაკრავი აპარატი. 21. ლიტერატურულ ან მუსიკალურ ნაწარმოებთა ერთობლიობა. 24. შიგაწვის ძრავა. 26. მოტორის მბრუნავი ნაწილი. 27. პოეტი-მომღერალი. 28. ტყავის სახეობა.

ჰორიზონტალურად: 2. საფრენი აპარატი. 7. ვიწრო გასასვლელი ძნელმისადგომ ადგილში. 8. მოძრავი საგანი. 9. ლითონი. 12. გზა. 16. ქალის სახელი. 18. ფოლადისაგან დამზადებული პროდუქცია. 19. სასჯელის მოხსნა. 20. ხელშეკრულების პირობა, რომელიც განსაზღვრავს საქონლის ხარისხს. 22. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე. 23. მიმღები აპარატი. 25. პლანეტა. 29. ლითონის დაშლა. 30. გემის სვლის სახეობა. 31. მანქანის ნაწილი. 32. მანძილი.

შეადგინა ვაჟა ვახტანგაძემ

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სსრ სახელმწიფო ხალხური ცეკვის აკადემიური ანსამბლის სოლისტი ლია ჩრიკიშვილი. ალექსანდრე სააკოვის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 14/VI-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VII-76 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 52.830. შეკვ. № 2108. უე 04276. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



-- თავზე იმდენი თმა არა მაქვს, რამდენიც საქმე.
— მეც ასე არა ვარ!



— რა ელეგანტურად აცვია კუკურის!
— დასტყობია ცოლის ხელი.



— ვინ თქვა, ბატონო, თქვენზე, უცხვირპიროაო?!

— ახალგაზრდებო, აქ ნუ გაჩერდებით!
— მაშინ სკამები დაგვიდგით, ბატონო!

ჯემალ
ლოლუა





ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056

მოლოდინი

ალექსანდრე საკოვის ფოტო